ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 2 სექტემბერი, 2022 №173 (8951) ფასი: 80 თეთრი



გვ.5

## ქართული კლინიკები სუროგაციის საერთაშორისო სკანდალში ეხვევიან

## კახა კალაძე „ტვ პირველის“ წინააღმდეგ



გვ.2

# „ოცნება“ თაღლითური სქემით ცდილობს სახალხო დამცველის გაყვანას“




გვ.2

გიორგი ვაშაძე: „ვინც ნამდვილი ოპოზიციაა, მათში ერთსულოვნებაც არის“



## „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა ვის რაში სჭირდება“



გვ.3

თამაზ ხუბუა: „რუსეთი აფხაზეთიდან ჯარს არ გაიყვანს მანამ, სანამ საბოლოოდ დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ მიიღება. აფხაზებს ემუქრებიან, თუ ჩვენ გავალთ, მეორე დღეს თბილისი აქ იქნებაო“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველას ჰყავს თავისი აგენტებიც, მოღალატეებიც და გამყიდველებიც, ამით არ უნდა გავერთოთ“



გვ.2



გვ.2

## ირაკლი კობახიძე: „რუსების არავითარი უკონტროლო შემოსვლა არ ხდება“

## „ლუკაშენკოს ტრიბუნალი ელის“

უკრაინელი პოლიტიკოსი და დიპლომატი რომან ბესმერტნი: „რუსეთი იყენებს ბირთვულ შანტაჟს“



გვ.3

## რა უჯდება სახელმწიფო უწყებებს შტატგარეშე თანამშრომლების შენახვა



გვ.4



გვ.4

## საშუალო და მცირე წისქვილკომბინატების ნაწილმა მუშაობა განაახლა

## მომხმარებლების 95,9% ინტერნეტს სოციალური ქსელებისთვის იყენებს



გვ.4




გვ.4

## როგორ გაიზრდება საქართველოს ეკონომიკა 2022 წელს

1993230720223

5 36 წლის მამინაცვალი 18 წლის გერს სამი წელი აუპატიურებდა

5 სოსო გოგაშვილი სასამართლო პროცესებზე დასწრებაზე უარს ამბობს

4 „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე საავადმყოფოს ფანჯრიდან გადავარდნის შედეგად გარდაიცვალა

7 გიორგი ჩაკვეტაძე: „ქართულ გუნდთან თამაში უცნაური იყო“

2022, 2 სექტემბერი, №173

# „ოცნება“ თაღლითური სქემით ცდილობს სახალხო დამცველის გაყვანას“

## გიორგი ვაშაძე: „ვინც ნამდვილი ოპოზიციაა, მათში ერთსულოვნებაც არის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

***— ბატონო გიორგი, ბოლო დღეებია სახალხო დამცველის არჩევის წესთან დაკავშირებით მიდის დავა და დისკუსია. ხელისუფლება არ ითვალისწინებს ვენეციის კომისიის არანაირ შენიშვნას, პირიქით, მის ლანძღვაზე არიან გადართული. რა ხდება, რა გზა აქვს „ქართულ ოცნებას“ არჩეული? რა პროცესები მიმდინარეობს?***

— „ოცნება“ არის პრორუსული ძალა, რომელმაც მიიტაცა ჩვენი სამშობლო. ჩვენი ამოცანა კი არის, სამშობლო დავიბრუნოთ უკან. ისინი არაფრის გამკეთებლები არ არიან. ჩვენ ამას ვამბობდით ერთი თვის წინაც. ომბუდსმენის საკითხზე რაც შემოგვთავაზეს, ეს არის ჩვეულებრივი თაღლითური სქემა, რომ როგორმე საკუთარი კანდიდატი გაათრიონ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომელ აკადემიურ წრეებზეც ლაპარაკობენ. ზუსტად ასე მოხდა ცსკო-ს თავმჯდომარის შერჩევის შემთხვევაშიც. ეს აკადემიური წრეებიც მათი კონტროლის ქვეშ არიან, რომელთა მეშვეობითაც აარჩიეს ის კანდიდატი, რომელიც მათ უნდოდათ. ამიტომ არაფრის გაკეთებას ესენი არ აპირებენ. დღეს გაირკვა, რომ ჩვენ ვიყავით სწორი და მართალი.

***— რა საკითხთან დაკავშირებით?***

— როცა იმ რაღაც ყავისსმსმელ ჯგუფებში არ შევედით და არ მივიღეთ მონაწილეობა.

***— რა იქნება სახალხო დამცველის არჩევის წესთან დაკავშირებით, რა მოლოდინი გაქვთ?***

— აქ არის მთავარი საკითხი, თუ ამ თაღლითურ სქემაში, რაც მათ წარმოადგინეს,



რომელიმე ოპოზიციური პარტია მათ გაჰყვება, უნდა იცოდეს, რომ ის არის თანამონაწილე თაღლითობის და „ქართულ ოცნებას“ ეხმარება სახალხო დამცველის გაყვანაში! ამ პროცედურით არჩეული სახალხო დამცველი, 12 პუნქტის პირდაპირ ბოიკოტს ნიშნავს. ეს ყველაფერი მათ გამოაცხადეს იმისთვის, რომ დააჩქარონ პროცესი, საქართველომ მიიღოს უარი ევროკავშირის სტატუსთან დაკავშირებით.

***— ყველანაირად ცდილობენ, ეს 12-პუნქტიანი გეგმა არ შეასრულონ. ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებამ ილუზია შექმნა, თითქოს მუშაობენ, თითქოს ასრულებენ, სინამდვილეში არაფერს აკეთებენო.***

— მე ამას თავიდანვე გეუბნებოდით, რომ არაფრის გამკეთებლები არ არიან. ეს სამუშაო შეხვედრები, ვითომ კომისიები, ეს იყო ფარსი, რაშიც უნდოდათ ოპოზიცია შეეთრიათ. ასეთ შემთხვევაში დღეს ჩვენ გვექნებოდა სრულიად სხვა სურათი, ჩვენ ყველას მოგვიწევდა ამ ჯგუფების დატოვება. მერე ხალხი ჩვენ გვეტყოდა, აბა, რატომ შეხვედითო. სიმართლე გაირკვა, ჩვენ ვყოფილვართ სწორი და მართალი.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი შესაძლოა ამაშიც გაჰყვეს ხელისუფლებას და მხარია აუბას სახალხო დამცველის არჩევის წესთან დაკავშირებით?***

— რა გითხრათ. თუ ამაში გაჰყვება, ის ოპოზიცია აღარ არის რა! მორჩა!

***— რატომ გადაწყვიტა „ქართულმა ოცნებამ“, რომ შეცვალოს სახალხო დამცველის არჩევის წესი?***

— იმიტომ, რომ ის არჩევის წესი, რომელიც იყო მანამდე, წინა ომბუდსმენის შერჩევის დროს, სადაც სამოქალაქო სექტორს აქვს გადამწყვეტი როლი, რომ მათ წარმოადგინონ მთავარი უფლებადამცველი ქვეყანაში და არა ერთი, არამედ რამდენიმე კანდიდატურა, ეს ხელისუფლებას არ აწყობს. მათი სურვილია, ომბუდსმენის ინსტიტუცია კონტროლის ქვეშ ჰყავდეთ.

***— ჩვენ არ ვღებულობთ მონაწილეობას. ჩვენი კანდიდატი არ გვეყოლებაო, ასე იმართლებენ თავს.***

— ასეა ცსკო-ს თავმჯდომარესთან დაკავშირებითაც. ეს აკადემიური წრეებიც თვითონ შექმნეს და იმ აკადემიური წრეებიდან ვინც არის წარმოდგენილი, იმან აარჩია ცსკო-ს წევრებად ისეთი ადამიანები, რომელსაც ვერ ირჩევ საერთოდ. ანუ მხარს არ უჭერს არავინ „ქართული ოცნების“ გარდა. ახლაც იგივე პროცესი მიმდინარეობს.

***— გაქვთ რაიმე ბერკეტი, ხელი შეუშალოთ, შეეწინააღმდეგოთ? რას აპირებს ოპოზიცია, არსებობს სამოქმედო გეგმა?***

— ბერკეტი არის შემდეგი, თუ ოპოზიციაში გამყიდველები არ იქნებიან, მათ ხმები არ ეყოფათ სასურველი კანდიდატის ასარჩევად.

***— ისე საუბრობთ, რომ მრჩება შთაბეჭდილება, ბოლომდე არ ენდობით ოპოზიციას და ვიღაც მაინც გადავა მათ მხარეს.***

— წინასწარ ვერაფერს გამოვრიცხავთ. თუ მიეხმარება ვინმე, ეს იქნება მისი ლუსტრაცია, რომ ის არისეროვნული ინტერესების გამყიდველი.

***— 12-პუნქტიან გეგმას უკავშირდება ეს ყველაფერი და როგორც ცნობილია, თქვენი ხელმძღვანელობით, ოპოზიციის ერთი ჯგუფი ცალკე მუშაობს. რა ალტერნატივას შესთავაზებთ საზოგადოებას და როდის დაიდება ეს გეგმა?***

— ჩვენ საბოლოო შეჯამებას ვაკეთებთ ახლა. შაბათს, სავარაუდოდ, სამოქალაქო სექტორს გავაცნობთ, მერე ამას გავასაჯაროებთ. დაახლოებით ორკვირიანი ფაზა გვექნება, ვისაც შენიშვნები და მოსაზრებები ექნება, შეეძლება, რომ მოგვაწოდოს და შემდეგ უკვე გადავთარგმნით კანონპროექტებში, რომელიც გაეგზავნება როგორც ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებს, ასევე ჩვენს მოსახლეობას გავაცნობთ, რაც მთავარია, დავარეგისტრირებთ პარლამენტში.

***— დავარეგისტრირებთ პარლამენტშიო და ხელისუფლებისგან რა მოლოდინი გაქვთ? რაიმე მხარდაჭერას ელოდებით?***

— ხელისუფლებისგან არაფრის იმედი არა გვაქვს. უბრალოდ, ჩვენ პასუხისმგებლობა გვაქვს, რომ დეტალურად ვუთხრათ ყველას, მთელ საზოგადოებას, თუ რა რეფორმებზეა საუბარი. ჩვენ ამას დავარეგისტრირებთ, ხელისუფლება ამას არ მიიღებს. წინასწარ გეტყვით იმასაც, რომ ამ ყველაფრის გამო ჩვენ ვერ მივიღებთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს.

***— რა ხდება ოპოზიციაში, რამდენად არის ერთსულოვნება, ერთიანი გეგმა, როდესაც ცხელ შემოდგომას აანონსებთ?***

— ვინც ნამდვილი ოპოზიციაა, მათში ერთსულოვნებაც არის. ვინც არ ვიცი საერთოდ ვინ არის, რა უნდათ, მათგან ერთსულოვნებას როგორ უნდა ველოდეთ. ჩვენ ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ, სტრატეგიაც გვაქვს, გეგმაც გვაქვს. ყველაფერს ნელ-ნელა დაინახავთ და აღმოაჩენთ, რომ ასეთი კომპლექსური მუშაობა არასდროს არ ყოფილა, რასაც ახლა ვგეგმავთ.

## კახა კალაძე „ტვ პირველის“ წინააღმდეგ

თბილისის მერი კახა კალაძე „ტვ პირველისა“ და ჟურნალისტ მაია მამულაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს. კალაძე მოპასუხე პირებისგან მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 100.000 ლარს ითხოვს.

კალაძის ადვოკატის დიმიტრი გაბუნიას ინფორმაციით, 2022 წლის 5 ივნისს „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა მაია მამულაშვილის საავტორო გადაცემა, სადაც ჟურნალისტმა გააკეთა განცხადება, რომ „კახა კალაძემ მხოლოდ ერთი ტენდერიდან 60 მილიონი მიიღო, რაც არის ოფიციალური ინფორმაცია“.

მისივე თქმით, 2022 წლის 20 ივნისს კახა კალაძემ მიმართა საქალაქო სასამართლოს სარჩელით ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ამასთან, როგორც ადვოკატმა აღნიშნა, შესაბამისი სარჩელი „ტვ პირველს“ და ჟურნალისტ მაია მამულაშვილს 24 აგვისტოს ჩაბარდა, შესაბამისად, მათ წერილობითი პასუხის წარმოსადგენად 3 დღე დარჩათ.

— სად გადის ზღვარი ცილისწამებას და გადაუმოწმებელ ინფორმაციასა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას შორის, ეს საერთაშორისო სასამართლოებმა დიდი ხნის წინ დაადგინეს და ახლა საქართველოს სასამართლომაც უნდა დაადგინოს.

გვაინტერესებს ის დოკუმენტაცია, რომელზეც საუბრობდა ჟურნალისტი მაია მამულაშვილი, კონკრეტული ფაქტი, რომ კახა კალაძემ 60 მილიონი „ჩაიდო ჯიბეში“. ეს განცხადება მიზნად ისახავდა მხოლოდ კალაძის დისკრედიტაციას და მოსახლეობაში რეპუტაციის შელახვას. ეს არის ტყუილი და ცილისწამება, თუ არ იქნება წარმოდგენილი ეს დოკუმენტაცია, კანონის სრული სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი კანონის წინაშე. ამ განცხადებით ადგილი აქვს უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევას, რადგან თანხების მითვისება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, — აღნიშნა დიმიტრი გაბუნიამ.

ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ მომავალში კონკრეტული მედიასაშუალებების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას სისტემური ხასიათი ჰქონდეს.

— ამას ექნება სისტემური ხასიათი, იურისტთა ჯგუფი მუშაობს და სადაც ვნახავთ, რომ იქნება მსგავსი განცხადება, გვექნება შესაბამისი რეაგირება, — აღნიშნა დიმიტრი გაბუნიამ.

## ირაკლი კობახიძე: „რუსების არავითარი უკონტროლო შემოსვლა არ ხდება“

„არავითარი უკონტროლო შემოსვლა არ ხდება, არავითარი რისკები არ დასტურდება“ — ასე ეხმაურება ქვეყანაში რუსების შემოსვლას „ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. საგანგებო ბრიფინგზე, დასმული შეკითხვის საპასუხოდ, კობახიძემ განაცხადა, რომ ქვეყანა იმ კონკრეტული რეჟიმით მოქმედებს, რომელიც წინა ხელისუფლებამ 2012 წლის დასაწყისში შემოიღო.

კობახიძე ხელს ისევ ოპოზიციისკენ იშვერს და ამბობს, რომ რუსი ტურისტების შემოსვლასთან დაკავშირებით ისევ ხელოვნური აჟიოტაჟია შექმნილი, რომლის მიზანიც ომის პროპაგანდის გაჩაღებაა.

— საქართველოში მოქმედებს კონკრეტული რეჟიმი, რომელიც, სხვათა შორის, წინა ხელისუფლებამ შემოიღო 2012 წლის დასაწყისში და არანაირი რისკები დღეს არ ჩანს, აქედან გამომდინარე, აუცილებლობა იმისა, რომ გადავხედოთ ჩვენ ამ შემოღებულ სავიზო რეჟიმს, არ არსებობს. დანარჩენი არის სპეკულაციები და ყველაფერი უკავშირდება ისევ და ისევე ომის პროპაგანდას, ომის რიტორიკას.

ამას, ბუნებრივია, არ შევყვებით რადიკალურ ოპოზიციას. არავითარი უკონტროლო შემოსვლა არ ხდება, არავითარი რისკები არ დასტურდება, რა თქმა უნდა, პირველი ხელისუფლება არის დაინტერესებული იმით, რომ თუ რაიმე რისკი არსებობს, ამის პრევენცია მოხდეს, არავითარი რისკები არ ფიქსირდება.

თქვენ გახსოვთ, რა თქმა უნდა, პასუხისმგებელი არიან შესაბამისი უწყებები და ისინი აკონტროლებენ ამ ყველაფერს. თქვენ გახსოვთ, რომ პირველი აჟიოტაჟი, ხელოვნური აჟიოტაჟი, რომელიც მარტში შეიქმნა, წარმოადგენენ ისეთ სიტუაციას, თითქოს ქვეყანა დაიქცა და დაიქცეოდა რამდენიმე დღეში, თუმცა, მარტის შემდეგ გავიდა ნახევარი წელი და არაფერი არ მომხდარა.

აქედან ჩანს, რომ ის აჟიოტაჟი იყო ხელოვნურად შექმნილი. ზუსტად ასევეა ხელოვნურად შექმნილი დღევანდელი აჟიოტაჟი. არაფერზე, ცარიელ ადგილზე ახდენენ სპეკულირებას. რატომ? იმიტომ, რომ მათ აქვთ კონკრეტული ინტერესი, რამენაირად შემოიტანონ ქვეყანაში, გააჩაღონ ომის პროპაგანდა, ამაში ჩვენ ვერ შევყვებით, ბუნებრივია, მათ, — ამბობს კობახიძე.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველას ჰყავს თავისი აგენტებიც, მოღალატეებიც და გამყიდველებიც, ამით არ უნდა გავერთოთ“

ყველა სახელმწიფოს ჰყავს თავისი აგენტები, მოღალატეები და გამყიდველები, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს, ჩვენს სამშობლოს.

— მას შემდეგ, რაც ზოგადად დედამიწაზე გაჩნდა ადამიანი, ჩამოყალიბდა, შეიქმნა დიდი სახელმწიფოები, მას შემდეგ, ყველა სახელმწიფოს, მოგეხსენებათ, კარგად იცით ჩვენი ქვეყნის ისტორია, სხვების ისტორიაც, რომ ყველა ერს და სახელმწიფოს, მათ შორის დიდ სახელმწიფოებს, ჰყავთ თავისი აგენტებიც, მოღალატეებიც და გამყიდველებიც. ეს არის ძალიან მგრძნობიარე საკითხი და ჩვენ ძალიან არ უნდა გავერთოთ ასეთი საკითხებით.

ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ჩვენი ქვეყანა გავაძლიეროთ. ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს, ჩვენს სამშობლოს. აი, ეს არის ჩემი პასუხი, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

## რატი ბრეგაძე: „წონის კლება ყოველთვის არ არის ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული“

იუსტიციის მინისტრის მტკიცებით, სახელმწიფო ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობისთვის და ახლაც სწორედ ამიტომ გეგმავენ სამხარაულის ბიუროსთვის მიმართვას ალტერნატიული ექსპერტიზის ჩასატარებლად:

„ჩვენ ვაპირებთ უახლოეს დღეებში მივმართოთ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ცენტრს იმის შესახებ, რომ მიხეილ სააკაშვილს ჩაუტარდეს კომპლექსური ექსპერტიზა. როგორც მოგეხსენებათ, ეს ადამიანი რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფება უკვე კლინიკა ვივა მედში და მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მუდმივ ზედამხედველობას ახორციელებს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. როგორც იცით, ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს საზოგადოების ინტერესს და ჩვენ გვინდა, რომ მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც იქნება ცალკე ექსპერტიზისგან იმისათვის, რომ არ დარჩეს არც ერთი კითხვის ნიშანი ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გარშემო.

ამდენი ხნის განმავლობაში და ზოგადად ბატონი სააკაშვილის პატიმრობის პერიოდში, მას არაერთხელ გაეწია კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება, როგორც უშუალოდ პენიტენციურ დაწესებულების ტერიტორიაზე, ასევე მე-18 სამკურნალო დაწესებულების ტერიტორიაზე, ასევე, ის იმყოფებოდა გორში. და შემდგომში, როცა საჭირო გახდა, გადმოყვანილი იყო ვივა მედის კლინიკაში. ანუ, მთელ ამ პერიოდში, როდესაც მას სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება, სახელმწიფოს მხრიდან მას ეს გაეწია. აი ამას ვაკეთებდით მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. რაც კი სჭირდებოდა სამედიცინო კუთხით, სახელმწიფო ამას აკეთებდა“ — ამბობს ბრეგაძე.

კითხვაზე, თუ ეს ასე იყო, რატომ არ უმჯობესდება მიხეილ სააკაშვილის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბაღდავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დიზაინერი – ნუგზარ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა ვის რაში სჭირდება“

## თამაზ ხუბუა: „რუსეთი აფხაზეთიდან ჯარს არ გაიყვანს მანამ, სანამ საბოლოოდ დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ მიიღება. აფხაზებს ემუქრებიან, თუ ჩვენ გავალთ, მეორე დღეს თბილისი აქ იქნებაო“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამაზ ხუბუა პასუხობს.



***– ბატონო თამაზ, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა ბჟანიამ განაცხადა, რომ აფხაზეთი რუსეთ-ბელორუსის კავშირში უნდა შეიყვანოს. რას მისცემს ეს აფხაზეთს?***

– სეპარატისტები გამოსავალს ეძებენ. ეს დეფაქტო სეპარატისტული ე.წ. ხელისუფლების და მისი ე.წ. პრეზიდენტის მხრიდან ერთგვარი ჩიხიდან გამოსვლის მცდელობაა. მათ შიგნით სერიოზული წინააღმდეგობები აქვთ.

***– წინააღმდეგობები რით არის გამოწვეული?***

– წინააღმდეგობები გამოწვეულია ბიჭვინთის ტერიტორიის გასხვისებით, ჰარმონიზაციის კანონის მიღებით, ისეთი გადაწყვეტილებებით, რომლის თანახმად, პრივატიზაციას უნდა დაუქვემდებარონ მცირე ენერგეტიკული საწარმოები. შიდა წინააღმდეგობებმა რუსეთის ფედერაციის უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია, რაც გამოხატა აფხაზეთში რუსეთის ელჩის, შურლიგინის მუქარებში.

ვინმე შურლიგინი იმუქრება, თუ აფხაზეთი რუსეთს ზურგს შეაქცევს, აფხაზებს დიდი პრობლემები ექნებათ. ამ მუქარის ქვეტექსტია, რომ აფხაზეთის რესპუბლიკამ, აფხაზმა ხალხმა საფასური უნდა გადაიხადოს იმ დიდი ძალისხმევისთვის, რაც გაიღო რუსეთმა „აფხაზეთის მონობიდან გასათავისუფლებლად. აფხაზ ხალხს რუსეთმა თავისუფლება მისცა და ეკონომიკურადაც ეხმარება“.

ბჟანიას შიდა პრობლემების საგარეო ფლანგზე გადატანა უნდა. სურს მათ ერთგულებაში დაარწმუნოს ხალხი, ოპოზიციურად განწყობილი ძალები და მოქალაქეები, რომლებიც ხვდებიან, რომ ძალიან დიდ ხაფანგში არიან. აფხაზეთში მცხოვრებ, განსაკუთრებით, აფხაზი ეროვნების ადამიანებს ეუბნებიან, თუ აფხაზეთი ახალ კავშირში შევა, თუ ხელს მოაწერს იმ შეთანხმებებს, რომელსაც რუსეთი სთავაზობს, მაშინ რუსები აფხაზეთიდან ჯარს არ გაიყვანენ, ფინანსურ დახმარებას 85%-დან 15%-მდე არ დაიყვანენ და სხვა ეკონომიკური შეღავათებიც შეუნარჩუნდებათ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსები ჯარსაც გაიყვანენ, საფინანსო დახმარებას 85%-დან 15%-მდე დაიყვანენ და სხვა ეკონომიკური შეღავათებიც გაუუქმდებათ. აფხაზეთიც მარგინალის პოზიციაში აღმოჩნდება.

ეს არის ერთგვარი შეშინება ჩვეულებრივი „ობივატელისა“, თუ რუსეთის შემოთავაზებებს არ დათანხმდებიან, მაშინ ეს საკითხი საჭირბოროტოდ დაუდგებათ დღის წესრიგში. ბჟანიას გარემოცვა, აფხაზური ელიტა თავის გადარჩენის მცდელობაშია, დაკაბალებულია. ისინი კრემლის ჩვეულებრივი ვასალები არიან.

ბელორუსის პრეზიდენტს იმდენი ჭკუა ჰყოფნის, რომ ითამაშოს და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა არ გამოაცხადოს.

***– არ აღიაროს.***

– აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა ვის რაში სჭირდება. ბჟანია და მისი გარემოცვა ისეთ წინაპირობებს ქმნის, რომ კრემლმა პანღური არ ამოარტყას.

***– უკრაინის ომის დაწყებიდან ძალიან მალე კრემლმა აფხაზებს და ოსებს ხომ უთხრა, ვეღარ დაგაფინანსებთ (დაფინანსება 15%-მდე დაუყვანეს), თქვენ თავს თვითონ მიხედეთო. კრემლმა პოზიცია შეცვალა?***

– პოზიცია არ შეუცვლიათ, მაგრამ გარკვეულ თანხებს პორცია-პორცია აძლევენ. ამას დაემატა მოწოდებები ბატალიონების ჩამოყალიბების თაობაზე. უკრაინაში რომ გაუჭირდათ, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან ბატალიონები საბრძოლველად წაიყვანეს.

ოსების ბატალიონი გამოიქცა, აფხაზეთის ბატალიონის 90% განადგურდა. ეს ყველაფერი აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან და ბჟანიასთან თავს იყრის. ცდილობენ, მათი ზეობის პერიოდში, ფინანსები მაქსიმალურად მოიზიდონ და კრემლის გულისწყრომა არ გამოიწვიონ.

ჯერჯერობით რუსეთს აფხაზეთისთვის არ სცალია, მაგრამ არ უნდა სიტუაცია დაძაბოს და აფხაზეთი პატარა, მინი პლაცდარმად შეინარჩუნოს. შემდგომ (როგორც კრემლს აქვს წარმოდგენილი), უკრაინაში საქმე მოაგვაროს (თუმცა, არა მგონია უკრაინაში რუსეთს რამე გამოუვიდეს) და აფხაზეთს მოუბრუნდეს.

აფხაზეთის ხელმძღვანელობას იმის თავიც არ აქვს, გარკვეული თამაში ითამაშოს. დაკაბალებული, უპრინციპო, ყოველგვარი გადაწყვეტილებების მიღების უნარს მოკლებული ადამიანების ჯგუფია, რომელმაც არ იცის, რა ქნას. ამის გამოხატულებაა ყოველდღიური პრობლემები, რაც აფხაზეთშია. ძალიან სერიოზული სიტუაციაა.

გარდა იმისა, რასაც ოფიციალურად ვგებულობთ. იცით თქვენ, ნათესავების უმრავლესობა აფხაზეთში გვყავს, აფხაზიც და ქართველიც. იქიდან ვღებულობთ ინფორმაციას, რომ ადამიანები ძალიან დათრგუნული არიან, ხალხი უკვე მიხვდა, რომ რუსებმა ისინი ჩირის ფასად გაყიდეს. რა ქნან, არ იციან. ხმა ამოიღონ, მოკლავენ. გაჩუმდნენ, უფსკრულისკენ მიექანებიან. ამდენად, ძალიან ცუდი მდგომარეობაა.

***– ანუ იმ განცხადებების გამო, რასაც ბჟანია აკეთებს, ხალხი აჯანყების პირასაა?***

– სწორად გაიგეთ. ეს არის არსებული მდგომარეობიდან გამოსვლის შესაძლებლობა. ბჟანია ცდილობს, მოსკოვს არ აწყენინოს, მაგრამ თან ეშინია, შიგნით მოწინააღმდეგეებმა ტერორი არ მოუწყონ. ძალიან ბევრი მაგალითია იმისა, არასწორად მოფიქრალები აფხაზეთში როგორ ნადგურდებოდნენ.

***– დიახ, ცნობილია, რომ ე.წ. პრეზიდენტების უმრავლესობა რუსეთმა ფიზიკურად გაანადგურა.***

– გეთანხმებით. ეს მომენტი არის. კარგად ვიცნობ პრემიერ-მინისტრ ანქვაბს, საკმაოდ გონიერი კაცია, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, ამ წრიდან რატომ არ გამოდის. ბჟანიასა და ანქვაბის ერთმანეთთან შედარება არ შეიძლება. ორივე სეპარატისტია, საქართველოს სიყვარულით ვენებს არც ერთი არ იჭრის, მაგრამ ანქვაბი ინტელექტუალურად გაცილებით მაღლა დგას, მოაზროვნე და ჭკვიანი ადამიანია.

***– შეიძლება ანქვაბი ბჟანიას წრიდან იმიტომ არ გამოდის, რომ საშიშროება მასაც ემუქრება.***

– არაერთხელ დაესხნენ თავს. არავითარი პოლიტიკურად წინასწარ განზრახული, მიზანმიმართული ქმედებები სეპარატისტული, დე ფაქტო ადმინისტრაციის მხრიდან არ ხორციელდება. ცდილობენ, მათი ქმედებები მიუსადაგონ იმ დირექტივებს, რაც მოდის რუსეთიდან და რა მდგომარეობაც ადგილზეა. ხალხი უკვე ამხედრებულია, მაგრამ სიმშვიდეს ჯარით და იარაღით ინარჩუნებენ.

შურლიგინი ამბობს, თუ თქვენ ყველა საკითხში ასე შეგვეწინააღმდეგებით, ჯარსაც გავიყვანთ (რა ჯარია, ერთი პოლკიც არ არის, მაგრამ ამტკიცებენ, ჩვენ რომ არ ვიყოთ, ქართველები შემოვლენო), ფინანსებსაც შეგიწყვეტთ და მერე თავს თქვენ მიხედეთო. შურლიგინი აფხაზებს სისტემატურად ემუქრება ისე, რომ ადამიანებმა ხმამაღლა დაიწყეს ლაპარაკი – რუსები გვატყუებენ, დაგვალალატეს, გაგვყიდეს, დროა გონს მოვეგოთო. რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, ამას აფხაზები ერთმანეთს ხმამაღლა ეუბნებიან.

***– ბჟანიას და მის გარემოცვას თამაშის თავიც არ აქვსო. რა თამაში შეიძლება ითამაშოს რუსეთთან ბჟანიამ?***

– შეუძლია „ამცახარასა“ და სხვა ოპოზიციურ ჯგუფებთან თქვას, მე აფხაზი ხალხის ინტერესებს და აფხაზეთს ვიცავო. ტალეირანის მეთოდები გამოიყენოს. ყოველ კვირას მოსკოვში დადის და კრემლში უთხრას, მომეცით საშუალება ცოტა ლავირება გავაკეთო, თორემ ხალხი ამიჯანყდებაო. ამის ნაცვლად ლობეყორეს ედება, ხან – იქითაა, ხან – აქეთ. რა ქნას, არ იცის, დაკაბალებულია.

***– თქვით, რუსეთს აფხაზეთში მცირე ჯარი ჰყავსო. რა შემთხვევაში შეიძლება კრემლმა აფხაზეთიდან თავისი მცირე ჯარიც გაიყვანოს?***

– რუსეთი აფხაზეთიდან ჯარს არ გაიყვანს მანამ, სანამ საბოლოოდ დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ მიიღება. აფხაზებს ემუქრებიან, თუ ჩვენ გავალთ, მეორე დღეს თბილისი აქ იქნება და ნახავთ, რაც მოგივათო.

ეს არის მუქარა, თორემ რუსეთი იქიდან წამსვლელი არ არის, სადაც ჯარი ჰყავს. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე უარის თქმასაც, ჯერჯერობით, არ აპირებს. დაფინანსება 95%-დან 15%-ზე რომ ჩამოუყვანეს, ხელფასის გასაცემი თანხები (ჯერჯერობით, ბიუჯეტის ყველა დაფინანსება შეწყვეტილი არ არის) შეუმცირეს, ამით აშინებენ, მიანიშნებენ, რომ რადიკალურად შეუძლიათ მოექცნენ.

რაც მთავარია, უნდათ მიისაკუთრონ აფხაზეთში არსებული მარგალიტი ადგილები. მისი წაღება და დაკანონება უნდათ ისე, რომ საერთაშორისო სამართლითაც არ გამტყუნდეს. ამიტომ ცდილობენ, გადაწყვეტილება აფხაზურმა პარლამენტმა მიიღოს. პარლამენტი კი, რამდენად პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, რუსეთის გადაწყვეტილებებს სერიოზულად ეწინააღმდეგება. მაინც ხალხის წარმომადგენელია. ეუბნებიან, სულს ამოგართმევთ, თუ ამაში მონაწილეობა დაგიფიქსირდებათო.

***– რუსები აფხაზებს ქართველებით რომ აშინებენ. ქართველებთან ცხოვრება არ სჯობს რუსულ ჩექმას?***

– აფხაზეთში ჯერ არ არიან ისეთი ძალები, რომლებიც ამას თავის თავზე აიღებენ. არასამთავრობო ორგანიზაციები მოჩვენებითია. არიან ნორმალური ადამიანები, შეიძლება ორგანიზაციაც იყოს, მაგრამ არ არის ისეთი სერიოზული ძალა, რომელსაც შეეძლება ხალხი აიყოლიოს და საკითხი რადიკალურად დასვას. ჯერჯერობით, შიშში არიან, რადგან რუსეთი ყველაფრის მკადრებელია.

# „ლუკაშენკოს ტრიბუნალი ელის“

## უკრაინელი პოლიტიკოსი და დიპლომატი რომან ბესმერტნი: „რუსეთი იყენებს ბირთვულ შანტაჟს“

მარიამ მჭედლიშვილი

იმ დროს, როცა საქართველოში ანტიდასავლური კამპანია ღვივდება, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი კი რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოში შესვლის მზადყოფნას გამოთქვამს (აფხაზეთის საზოგადოების უმრავლესობა ამას ეწინააღმდეგება), პროცესები რუსეთისა და პრორუსული ძალებისთვის სახარბიელოდ არ ვითარდება.

არ არის გამორიცხული, უკრაინის ძალებმა მტერს ბელარუსშიც დაარტყან. განიხილება სამხედრო ობიექტებზე დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზეც, მაგრამ იმ პირობით, თუ აქ არ იქნება გამოყენებული ამერიკული იარაღი.

რუსეთის გაბერილი ჯარი განიცდის კადრებისა და ტექნიკის დეფიციტს, პუტინი საბაბს ეძებს ომში პატარა პაუზისათვის, რათა დამპყრობელმა ძალები აღიდგინოს.

ომის საკითხებზე ბალარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა უკრაინელი პოლიტიკოსი და დიპლომატი რომან ბესმერტნი.

***– უკრაინის შეიარაღებული ძალებმა წამოიწყეს კონტრშეტევა უკრაინის სამხრეთში. როგორ აფასებთ სიტუაციას ხერსონის მიმართულებით?***

– მიმდინარეობს პოზიციური ბრძოლები. მათი არსი იმაშია, რომ მოწინააღმდეგე განიდევნოს უკრაინის მთელი ტერიტორიიდან. მიმდინარეობს ფრაგმენტული ბრძოლები ფრონტის მთელ ხაზზე. შეიძლება თუ არა, ეს ჩაითვალოს კონტრშეტევად – ეს გენერალურ შტაბს უნდა ჰკითხოთ. ოფიციალური პოზიციით, არანაირ კონტრშეტევაზე საუბარი არ მიმდინარეობს.

***– უკრაინის შეიარაღებული ძალების წარმატების ფონზე ექსპერტები გამოყოფენ მნიშვნელოვან მომენტებს – შოიგუ ჩამოაცილეს რუსეთის ფედერაციის არმიის ხელმძღვანელობას, გაძლიერდა ბირთვული შანტაჟი. ამავდროულად, კრემლი თითქოს მიისწრაფვის მოლაპარაკებებისკენ. როგორ გავლენას მოახდენს რუსეთის არმიის ჩავარდნები კრემლის ტაქტიკასა და სტრატეგიაზე?***

– ინფორმაცია შოიგუს ჩამოშორებაზე გაავრცელა ბრიტანეთის დაზვერვამ. აქედან გამომდინარე, ის უნდა აღვიქვათ ბრიტანეთის დაზვერვის ინფორმაციად და არა პუტინის გადაწყვეტილებად. როგორც მახსოვს, შოიგუს მესამედ აშორებენ შეიარაღებული ძალების მართვას. სინამდვილეში, შეიარაღებული ძალების მართვას ახორციელებს გენშტაბი. შოიგუ თავდაცვის მინისტრია. რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, მას აქვს გარკვეული გავლენა გენშტაბსა და შეიარაღებული ძალების მართვაზე. ეს არ არის უშუალოდ მართვა.

რაც შეეხება წარმატებას, უკანასკნელ ხანს უკრაინის შეიარაღებული ძალები ყოველდღე ათავისუფლებდნენ დაახლოებით ხუთ დასახლებულ პუნქტს. ამიტომ იმის თქმა, რომ რაღაც გარღვევა მოხდა, არ შემიძლია. უკრაინის ჯარების წინსვლა მიმდინარეობს, განსაკუთრებით, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. რაც უფრო მეტი შეიარაღება შემოდის „რამშტაინის“ ფორმატით, მით უფრო წარმატებით მიდის წინსვლა და რუსეთის არმიის დაზარალება.

ბოლო კვირების განმავლობაში რუსეთი იყენებს ბირთვულ შანტაჟს. ეს არის უკრაინის მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასმის მცდელობა ბირთვული უსაფრთხოების საკითხზე. ამისთვის რუსებმა გამოიყენეს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაც კი. რუსეთის მანევრების არსი ასეთია – გააკეთოს პაუზა რომელიმე მოლაპარაკებების ხარჯზე და მოახდინოს ძალების მობილიზაცია. უკრაინული მხარე ამას აბსოლუტურად სწორად გამოეხმაურა. ითქვა, რომ ახლა მოლაპარაკებები უკრაინის სამხრეთში მიმდინარეობს. მე ასე ვფიქრობ – ჯერ ოკუპანტები უნდა გავიდნენ უკრაინის ტერიტორიიდან და შემდეგ შეიძლება ფიქრი მოლაპარაკებებზე.



***– რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ბელარუსის დიქტატორი გამოიყენებს ბირთვულ იარაღს?***

– ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ჩატარდა ბელარუსული თვითმფრინავების მოდერნიზაცია ბირთვული შეიარაღების გადასატანად. თვითონ არ ესმის, რას ამბობს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ეს არის ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დარღვევა. ლუკაშენკოს განცხადება აშკარად კრემლის მიერ იყო ინსპირირებული. შეგვიძლია ერთმანეთს შევუთავსოთ მოვლენები: სიტუაცია ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე, უშიშროების საბჭოს სხდომა, ლუკაშენკოს გამონათქვამები, გაეროს გენმდივნის განცხადებები უარის თქმაზე ბირთვულ გამოცდებზე და სხვა.

ლუკაშენკო ვერ აცნობიერებს, რაზე ლაპარაკობს. ბელარუსულ რაიმე ბირთვულ იარაღზე საუბარი შეუძლებელია. თუ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ასეთი იარაღი იქნება განლაგებული, ეს იქნება რუსეთის იარაღი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობით. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ დღეს ბირთვული უსაფრთხოების საკითხებში იქმნება განცალკევებული ინფოსამყარო.

***– როგორი იქნება ლუკაშენკოს მდგომარეობა უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევის წარმატების შემთხვევაში?***

– ბელარუსის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან მიდის სროლები უკრაინის მიმართულებით. ბელარუსის სტატუსი ჰგავს ყირიმის სტატუსს, რუსეთს ორივეს მიმართ ერთნაირი დამოკიდებულება აქვს. ორგანვე თვითმარქვია ბელადია და ა. შ. ამ ყველაფერს რუსეთი მართავს. საერთაშორისო სამართლის, ომის წესების მიხედვით, უკრაინა არაა ვალდებული შეარჩიოს მოწინააღმდეგეზე დარტყმების მიტანის საშუალებები. შეცდომად მივიჩნევ იმას, რომ არ დაურტყამთ რუსეთის ნაწილებისთვის ბელარუსის ტერიტორიაზე.

***– რა ელის ლუკაშენკოს?***

– ლუკაშენკოს ბედი გადაწყვეტილია. თუ ცოცხალი გადარჩა, ტრიბუნალი ელის. სხვა საკითხია ბელარუსის ბედი, ხალხის მომავალი. მე მეტ ყურადღებას მივაქცევდი ბელარუსის მომავალს. როცა ლუკაშენკოს ვახსენებ, მხედველობაში არ მყავს ბელარუსი. მხედველობაში მყავს ლუკაშენკოს ამალა.

# მომხმარებლების 95,9% ინტერნეტს სოციალური ქსელებისთვის იყენებს



2022 წლის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ინტერნეტით უზრუნველყოფილია საქართველოს შინამეურნეობების 88.4 პროცენტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.3 პროცენტული პუნქტით აღემატება – ამის შესახებ აღნიშნულია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ანგარიშში.

ამავე ანგარიშის მიხედვით, ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი 1.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა საქალაქო, ხოლო 3.5 პროცენტული პუნქტით სასოფლო დასახლებებში და, შესაბამისად, 92.8 და 82.4 პროცენტი შეადგინა. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და აჭარაში დაფიქსირდა და, შესაბამისად, 94.8 და 93.3 პროცენტი შეადგინა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო 3 თვის განმავლობაში ინტერნეტით ისარგებლა 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 79.8 პროცენტმა, რაც 2.4 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საქალაქო დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 85.6 პროცენტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 70.9 პროცენტით განისაზღვრა. ეს მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 79.5 პროცენტს, ხოლო კაცების შემთხვევაში 80.2 პროცენტს შეადგენს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა ყველაზე მაღალია 15-29 წლის მოსახლეობაში და 98.7 პროცენტს შეადგენს.

ამასთან, ანგარიშის თანახმად, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობიდან, რომლებიც ბოლო 3 თვის განმავლობაში სარგებლობდნენ ინტერნეტით, 92.8 პროცენტი ინტერნეტს ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე მოიხმარდა, 6.4 პროცენტი – კვირაში ერთხელ მაინც (თუმცა არა ყოველდღე), 0.8 პროცენტი კი – უფრო იშვიათად.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო სამ თვეში ინტერნეტის მომხმარებელ მოსახლეობაში, ინტერნეტის გამოყენების ძირითად მიზნებს წარმოადგენს სოციალური ქსელების გამოყენება (95.9%), ინტერნეტ (აუდიო/ვიდეო) კავშირი (91.2%), ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება (51.4%), ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა (49.3%), საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება (43.3%), ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა (41.3%), ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა (40.1%), პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის (გარდა თამაშებისა) ჩამოტვირთვა (17.7%) და სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა (14.1%).

ამასთან, 15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო 12 თვეში ინტერნეტის მომხმარებელი მოსახლეობის 23.8 პროცენტმა ინტერნეტის მეშვეობით შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი ან მომსახურება. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით: საქალაქო დასახლებებში – 28.8 პროცენტია, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 14.3 პროცენტი. სქესის მიხედვით მაჩვენებლის მნიშვნელობები ქალებისათვის 26.3 პროცენტს, კაცებისათვის კი 21.0 პროცენტს შეადგენს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მაჩვენებლის მნიშვნელობები განსხვავებულია: 15-29 წლის ასაკის მოსახლეობაში – 37.7 პროცენტი, 30-59 წლის ასაკის მოსახლეობაში – 22.0 პროცენტი, ხოლო 60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში – 8.0 პროცენტია

საქსტატის ცნობით, 15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო 3 თვეში ინტერნეტის მომხმარებელთა 99.0 პროცენტმა გამოიყენა მობილური მოწყობილობა (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი, პლანშეტი და ა.შ.) უსადენო ინტერნეტთან დასაკავშირებლად. აღნიშნული მაჩვენებელი ქალებისათვის 99.1 პროცენტს, ხოლო კაცებისათვის – 98.8 პროცენტს შეადგენს. ამასთან, ასაკობრივ ჭრილში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (99.8%) 15-29 წლის მოსახლეობაში დაფიქსირდა.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კომპიუტერით უზრუნველყოფილია შინამეურნეობების 60.3 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობამ საქალაქო დასახლებებში 70.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 46.1 პროცენტი. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი თბილისსა და აჭარის ა.რ.-ში დაფიქსირდა და შესაბამისად – 73.6 და 62.7 პროცენტი შეადგინა.

6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 54.4 პროცენტმა ისარგებლა კომპიუტერით ბოლო 3 თვის განმავლობაში. აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავებულია დასახლების ტიპის მიხედვით: საქალაქო დასახლებებში 63.3 პროცენტია, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 40.6 პროცენტი. ეს მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 53.6 პროცენტს შეადგენს, ხოლო კაცების შემთხვევაში – 55.4 პროცენტს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, კომპიუტერის მომხმარებელთა ყველაზე მაღალი წილი 6-14 წლის მოსახლეობაში დაფიქსირდა და 80.7 პროცენტი შეადგინა.

15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო 3 თვეში კომპიუტერის მომხმარებელთა 74.0 პროცენტი კომპიუტერით ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე სარგებლობდა, 17.9 პროცენტი – კვირაში ერთხელ მაინც, 8.1 პროცენტი კი – უფრო იშვიათად.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 88.1 პროცენტი ფლობს მობილურ ტელეფონს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.8 პროცენტული პუნქტით მეტია. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებელი ქალაქის ტიპის დასახლებებში 2.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში 1.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და, შესაბამისად, 92.0 და 82.0 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის განმარტებით, მონაცემთა შეგროვება განხორციელდა 2022 წლის ივლისში, ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

# საშუალო და მცირე წისქვილკომბინატების ნაწილმა მუშაობა განაახლა



„საქართველოს ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის, ლევან სილაგავას განცხადებით, ხორბლის იმპორტის განახლების შესაბამისად, საშუალო და მცირე წისქვილკომბინატების ნაწილმა მუშაობა განაახლა, დიდი წისქვილკომბინატები კი კვლავ გაჩერებულია.

როგორც სილაგავამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, მსოფლიო ბაზარზე სიტუაცია უმჯობესდება და თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდა, შესაძლოა, ოქტომბერ-ნოემბერში წისქვილები უფრო მასობრივად ამუშავდეს.

– მსოფლიო ბაზრიდან გამომდინარე, სიტუაცია უმჯობესდება და თუ ტენდენცია გაგრძელდა, შეიძლება, მუშაობის განახლება უფრო დიდმა წისქვილკომბინატებმაც იფიქრონ. ჩვენ ვუყურებთ, რომ მსოფლიო ბაზრებზე ხორბლის ფასი შემცირდა და იმედი გვაქვს, რომ ოქტომბერ-ნოემბერში წისქვილები უფრო მასობრივად ამუშავდება, – განაცხადა ლევან სილაგავამ.

მისივე თქმით, საქართველოში აგვისტოში რამდენიმე ათასი ტონა ხორბლის იმპორტი განხორციელდა, რომლის ძირითადი ნაწილი რუსეთიდან შემოვიდა.

– ყველა კომპანიას, ფაქტობრივად, რუსეთიდან შემოგვაქვს. ეს განპირობებულია იმით, რომ გვინდა თუ არ გვინდა, რუსეთი გეოგრაფიულად ჩვენი ყველაზე ახლო მეზობელია და ფასი, როგორც ხორბლის, ისე ტრანსპორტირების, ყველაზე მისაღები აქ არის. შესაბამისად, ეს არის პრინციპი, რომ იაფი ფქვილი და იაფი ხორბალი არის ჩვენი ახლომდებარე რეგიონიდან – ეს არის რუსეთი. ყაზახეთიდან ძალიან ცოტა შემოდის, უკრაინიდან კი თითქმის არ შემოდის, რადგან შორს მდებარეობს და ტრანსპორტირება უფრო ძვირი ჯდება, – აღნიშნა სილაგავამ.

მისივე ინფორმაციით, აგვისტოს დასაწყისთან შედარებით, წისქვილკომბინატების მიერ გამოშვებული ერთი ტომარა ფქვილის ღირებულება დაახლოებით, 5-7 ლარით შემცირდა.

ლევან სილაგავას განცხადებით, იმისათვის, რომ ფქვილის ფასის შემცირება საბოლოოდ პურზე აისახოს, საჭიროა, რომ პურზე ფასი ჯერ მეპურეებმა, შემდეგ კი მაღაზიებმა შეამცირონ.

– ერთ ტომარა პირველი ხარისხის ფქვილზე ფასი აგვისტოს დასაწყისში 85-86 ლარი იყო, დღეს არის 77-80 ლარი. შემცირება არის და ჯერჯერობით ტენდენციაც შემცირებისკენ მიდის. მეპურეებიც თუ შეამცირებენ პურის ფასს, შემდეგი ნაბიჯი არის, რომ მაღაზიებმა პურის ფასის გადასახადი შეამცირონ. ამ სამივე ჯაჭვმა სინქრონულად უნდა იმუშაოს. ამ შემთხვევაში იქნება ასახული საბოლოო პროდუქტზე ანუ პურზე მომხმარებლისთვის ფასი.

ფქვილის ფასის შემცირების პარალელურად, ფქვილის ფასის შემცირება თვითონ მაღაზიებმა უნდა ასახონ, მათ შორის ქსელურმა სუპერმარკეტებმა. შესაბამისად, ეს მომხმარებელმა მაღაზიების საშუალებით უნდა იგრძნონ. შესაბამისად, „პურის მწარმოებელთა ასოციაცია“ ინიციატივით გამოვიდა, რომ კარგი იქნებოდა რეფერენტული ფასები, როგორც მთავრობამ, მაგალითად, წამალზე გამოაცხადა, გადმოტანილი ყოფილიყო ამ დარგისთვის. ამ სამი ჯაჭვის მუშაობას სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს, რომ ფქვილის ფასიდან გამომდინარე, პურზე ფასები ზღვრული იყოს, – აღნიშნა ლევან სილაგავამ.

მისივე განცხადებით, საქართველოში ამ დროისთვის ხორბლის მარაგი არის, რაც საქართველოში ხორბლის მოსავლის აღებითა და იმპორტის განხორციელებით არის განპირობებული.

– ფქვილი არ არის მოწოდებული იმისთვის, რომ მარაგები შეიქმნას, იმიტომ, რომ მისი შენახვის ვადა არის დაახლოებით, თვე-ნახევარი, მაშინ, როდესაც ხორბლის არის 2-3 წელი, – აღნიშნა მან.

# რა უჯდება სახელმწიფო უწყებებს შტატგარეშე თანამშრომლების შენახვა

აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის მონიტორის მიხედვით, სახელმწიფო უწყებებმა 2021 წელს შტატგარეშე თანამშრომელთა ხელფასებზე 307.2 მლნ ლარი დახარჯეს. მათ შორის, ყველაზე მეტი თანხა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, ასევე თავდაცვის სამინისტროებზე მოდის. უფრო დეტალურად, აუდიტის მონიტორზე დაყრდნობით, „ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ინფორმაციას, თუ რომელმა უწყებამ რამდენი დახარჯა შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურებაზე 2021 წელს:

პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები – 8,8 მლნ ლარი;

პრეზიდენტის ადმინისტრაცია – 987.815 ლარი; მთავრობის ადმინისტრაცია – 3,5 მლნ ლარი; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი – 259.008 ლარი; ფინანსთა სამინისტრო – 4 მლნ ლარი; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – 4,4 მლნ ლარი; რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო – 1,9 მლნ ლარი;

იუსტიციის სამინისტრო – 11,1 მლნ ლარი; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 86,1 მლნ ლარი საგარეო საქმეთა სამინისტრო – 2,1 მლნ ლარი; თავდაცვის სამინისტრო – 31,2 მლნ ლარი; შინაგან საქმეთა სამინისტრო – 19,7 მლნ ლარი; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 18,6 მლნ ლარი; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო – 79 მლნ ლარი

# როგორ გაიზრდება საქართველოს ეკონომიკა 2022 წელს




საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო S&P Global-მა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4%-დან 8%-მდე გაზარდა. სააგენტოს თანახმად, ზრდის მიზეზი ომის შედეგად ქვეყანაში მიგრანტების შემოდინებაა, რაც ტურიზმის აღდგენას უზრუნველყოფს.

2023 და 2024 წლების პროგნოზი, შესაბამისად, 3% და 4.5%-ია.

რაც შეეხება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მსოფლიო ბანკის განახლებული პროგნოზით, წელს ქვეყნის ეკონომიკა 5.5%-ით გაიზრდება. ახალი მაჩვენებელი აპრილში გამოქვეყნებულ პროგნოზთან შედარებით 3%-ით მეტია, იანვარში გამოქვეყნებულ ანგარიშთან შედარებით კი უცვლელია – მსოფლიო ბანკი იანვარში საქართველოს ეკონომიკის 5.5%-იან ზრდას პროგნოზირებდა, აპრილში კი საპროგნოზო მაჩვენებელი 2.5%-მდე შეამცირა. მომდევნო წლების, 2023 და 2024 წლების პროგნოზი, 5.5% და 5%-ია.

ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF), რომლის თანახმადაც, რეალური მშპ-ს ზრდა წელს ქვეყანაში 3.2%-იანი იქნება. თუმცა, როგორც IMF-ის წარმომადგენელმა ივლისში განაცხადა, შესაძლოა, პროგნოზი ისევ ძველ მაჩვენებლამდე, 5.5%-მდე გაიზარდოს, ეს კი აღდგენის ტემპზე იქნება დამოკიდებული.

ცნობისთვის, საქართველოს ეროვნული ბანკი წელს ქვეყნის ეკონომიკის 9%-ით გაზრდას პროგნოზირებს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, კობა გვენეტაძე მოელის, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთების ზრდას საქართველოში უცხოური ვალუტით დაკრედიტებაზე მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მსგავსი ეფექტი ექნება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის პირველ 7 თვეში ქვეყნის ეკონომიკის ზრდის საშუალო მაჩვენებელი 10.3%-ია, უშუალოდ ივლისში ზრდის მაჩვენებელი კი 9.7%-ს შეადგენს.

# რატი ბრეგაძე: „წონის კლება ყოველთვის არ არის ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მდგომარეობა და რატომ იკლებს ის წონაში, ბრეგაძე ამბობს, რომ – „წონის კლება ყოველთვის არ არის ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული“.

ბრეგაძის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უნდა ისაუბრონ ექიმებმა და პროფესიონალებმა.

– სახელმწიფომ გააკეთა მაქსიმუმი, რაც იყო საჭირო ამ ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. სჭირდებოდა კლინიკაში გადაყვანა? გადაყვანილია. ახლა, რაც შეეხება იმ ექსპერტიზის ჩატარებას, რომელზეც ვსაუბრობთ, გვინდა ჩატარდეს იმისთვის, რომ მივიღოთ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია ამ ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ. „ემპათია“ რასაც ატარებს, ეს არის მათი გადაწყვეტილება, – ამბობს ბრეგაძე. იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილისთვის სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ რამდენიმე დღის წინ გააკეთა პირველი განცხადება. შეთავაზებაზე მესამე პრეზიდენტი თანახმაა.

# „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე საავადმყოფოს ფანჯრიდან გადავარდნის შედეგად გარდაიცვალა

რუსული ნავთობის უმსხვილესი კერძო მწარმოებლის, „ლუკოილის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, რავილ მაგანოვი საავადმყოფოს ფანჯრიდან გადავარდნის შედეგად გარდაიცვალა.

რუსული საინფორმაციო სააგენტო Iნტერფახ-ის ცნობით, მაგანოვი მოსკოვის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ფანჯრიდან გადავარდა. დასავლური მედია წერს, რომ „ლუკოილი“ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან რუსულ კომპანიებს შორის, რომელიც ღიად აკრიტიკებს რუსეთის უკრაინაში შეჭრას.

მარტში, კომპანიის დირექტორთა საბჭომ ხელისუფლებას „შეიარაღებული კონფლიქტის უმოკლეს დროში შეწყვეტისკენ“ მოუწოდა და ყველა მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობა გამოხატა.

– ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ცეცხლის შეწყვეტას და პრობლემების მოგვარებას სერიოზული მოლაპარაკებებისა და დიპლომატიის გზით, – ნათქვამია კომპანიის მაშინდელ განცხადებაში.

# სოსო გოგაშვილი სასამართლო პროცესებზე დასწრებაზე უარს ამბობს




სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე სოსო გოგაშვილი სასამართლო პროცესებზე დასწრებაზე უარს აცხადებს. სოსო გოგაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს გიორგი გელაშვილს მიმართავს.

— მე ვარ უკანონოდ დაკავებული ბიძინა ივანიშვილის მითითებების გამო. ჩემი საქმე მთლიანად აგებულია ყალბ და ფალსიფიცირებულ „მტკიცებულებებზე“, რომელიც 16 ივლისის ღამეს შემოიტანეს და ჩადეს ჩემს საცხოვრებელ სახლში, ქ.თბილისი, ავთო ვარაზის 91-ში. ჩემი დაკავებაც განხორციელდა უკანონოდ და ძალადობრივად, ასევე, იძალადეს ჩემი ოჯახის წევრებზეც. სასამართლომ არ გაითვალისწინა არც ერთი ჩვენს მიერ მოყვანილი ფაქტი და აღკვეთაც კი არ შეცვალა. მე არ ვაპირებ მივიღო მონაწილეობა ამ დადგმულ „მასკარადში“, რომელიც წოდებულია, როგორც სასამართლო, ხოლო იმართება და ხელმძღვანელობს ივანიშვილის დირექტივების მიხედვით. ამაზე მე მაქვს საკმაოზე მეტი მტკიცებულებები, რასაც უახლოეს დღეებში გავასაჯაროვებ.

ასევე, ჩემი გადაადგილება რუსთავის ციხიდან სასამართლომდე შეიცავს სიცოცხლისა და უსაფრთხოებისთვის დიდ რისკებს, აქედან გამომდინარე უარს ვაცხადებ, დავესწრო სასამართლო პროცესებს.

უკანონო პატიმარი, იოსებ გოგაშვილი 1.09.2022 წ. – აღნიშნულია გოგაშვილის განცხადებაში.

# ბათუმის მერიაში სუსი შევიდა



ბათუმის მერია სკანდალში ეხვევა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გაცემული სამშენებლო ნებართვების საქმით დაინტერესდა. უკვე გამოიკითხა არქიტექტურის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი, მირიან მეტრეველს პირადი მობილური ტელეფონიც კი ჩამოართვეს.

მეტრეველი მედიასთან კომუნიკაციაზე უარს ამბობს, შესაბამისად უცნობია, კონკრეტულად რომელი მშენებლობის ნებართვით დაინტერესდა სუსი.

ამ დრომდე უცნობია, გამოიკითხა თუ არა მერი არჩილ ჩიქოვანი. ოპოზიციაში აცხადებენ, რომ მირიან მეტრეველი ჩიქოვანისა და თორნიკე რიჟვაძის თანხმობის გარეშე ვერ იმოქმედებდა.

ხელისუფლების ოპონენტების თქმით, მირიან მეტრეველი თანამდებობიდან მას შემდეგ მოხსნეს, რაც აჭარის მთავრობის მეთაურს დაუპირისპირდა.

— ამ ქალაქში უამრავი უკანონოდ გაცემული მშენებლობის ნებართვაა და უამრავი უკანონო მშენებლობაა. თუმცა ახლა ამ ყველაფრის მირიან მეტრეველისთვის გადაბრალება, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

აჭარის უმაღლეს საბჭოში თორნიკე რიჟვაძის ცნობილი და სკანდალური მოსვლა, საზოგადოებას კარგად ახსოვს, სადაც ბატონი რიჟვაძე განსაკუთრებული უზრდელობით გამოირჩეოდა. ამას შეფასებებიც მოჰყვა, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ არც ერთ წევრს არ მოიწონა ეს, მაგრამ მირიან მეტრეველს ხმამაღლა მოუწია იმის თქმა, რომ ტერმინოლოგიას, რითაც საუბრობდა რიჟვაძე, არ ეთანხმებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამის გამო მოხდა მისი გაშვება სამსახურიდან მეორე დღესვე, — განაცხადა „ტვ პირველთან“ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი კირთაძემ.

# 36 წლის მამინაცვალი 18 წლის გერს სამი წელი აუპატიურებდა

3 წლის განმავლობაში სექსუალური ძალადობა მამინაცვლის მხრიდან – უმძიმეს ბრალდებას 36 წლის მამაკაცს მეუღლის შვილი, 18 წლის გოგონა უყენებს.

„კურიერმა“ საქმის დეტალები ექსკლუზიურად გაარკვია.

სავარაუდო მოძალადე პოლიციამ დააკავა. საქმის მასალების მიხედვით, გოგონას გაუპატიურება პირველად მაშინ მოხდა, როდესაც მსხვერპლი 15 წლის იყო. „კურიერისთვის“ ცნობილი გახდა დაზარალებულის ჩვენების შინაარსი.

— ნ.ა., რომელიც დედაჩემის ქმარია და მასთან ერთად ვცხოვრობდით, ინტენსიურად ძალადობდა. მემუქრებოდა, მეშინოდა და მომხდარს ვერავის ვუყვებოდი. ის მემუქრებოდა, რომ თუკი ვინმე ამას გაიგებდა, მეც მომკლავდა და ოჯახის წევრებსაც, – აცხადებს ახალგაზრდა ქალი ჩვენებაში.

მას შემდეგ, რაც სრულწლოვანი გახდა, გოგონამ იქორწინა. მისი ჩვენების მიხედვით, წლების განმავლობაში ძალადობის ფაქტები მან მეუღლეს და დედამთილს გაუმხილა, შემდეგ კი შემზარავი დანაშაულის შესახებ პოლიციას აცნობა.

დაზარალებული გოგონას დედა მეუღლის უდანაშაულობაში დარწმუნებულია და 18 წლის შვილს ტყუილში ადანაშაულებს. „კურიერმა“ მისი ინტერვიუ იმ სახლში ჩაწერა, სადაც მსხვერპლის ინფორმაციით ძალადობა ხდებოდა.

„კურიერმა“ ექსკლუზიურად გადაიღო მძიმე დანაშაულში ბრალდებულის პირველი პროცესი, სადაც 36 წლის სავარაუდო დამნაშავეს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდეს. სხდომა დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით რამდენიმე წუთში დაიხურა. ადვოკატი დაკავებულის 15 ათას ლარიანი გირაოთი გათავისუფლებას ითხოვდა.

ბრალდებულის უფლებების დამცველის ინფორმაციით, საქმეში იძებნება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მამაკაცს წარდგენილ ბრალთან შეუთავსებელი ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. საქმის პროკურორი კი ამბობს, რომ მამაკაცისთვის წარდგენილი გაუპატიურების ბრალდება არაერთი დოკუმენტით მტკიცდება.

გაუპატიურების ბრალდებით დაკავებულს, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მაქსიმალურ სასჯელად უვადო პატიმრობა ემუქრება. საქმის განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლო 20 ოქტომბერს, დახურულ კარს მიღმა დაიწყებს.

# დიდ დიღომში აფეთქებისას დაშავებულები ნიგერიის მოქალაქეები არიან




დიდი დიღომში, ე.წ. ბენდუქიძის დასახლებაში, აფეთქება მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქება ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია.

არსებული ინფორმაციით, დაშავებულია სამი ადამიანი, ცოლ-ქმარი და ორ წლამდე ბავშვი. წინასწარი ცნობით, დაშავებულები ნიგერიის მოქალაქეები არიან. სამივე მათგანი კლინიკაშია გადაყვანილი.

აფეთქების მიზეზი, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა.

ბავშვის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა.

ამასთან, ადგილობრივების ცნობით, აფეთქების შედეგად დაზიანდა რამდენიმე ბინა და ადგილზე მდგომი მანქანები.

— დაახლოებით 07:00 საათი იქნებოდა, აფეთქების ხმა რომ გავიგეთ. ბავშვი გამოიყვანეს დამწვარი, ჩვეულებრივად სუნთქავდა. წაიყვანეს და როგორც ვიცი, რეანიმაციაშია. ბევრი დაზარალდა. დაშავებულია ბავშვი და დედა, რომელიც გარეთ, კართან იდგა, აფეთქების შედეგად კი ეზოში დაეცა. მესამე ადამიანი გვერდზე სახლში მცხოვრებია და როგორც ვიცი, აფეთქებისას საწოლიდან გადმოვარდა, — განაცხადა ადგილობრივმა რეზო გოგიაშვილმა.

# სოსო გოგაშვილის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 20 ოქტომბრამდე გადაიდო



სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილის, იოსებ გოგაშვილის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 20 ოქტომბრამდე გადაიდო.

როგორც გოგაშვილის ადვოკატმა, რამაზ ჩინჩალაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, იოსებ გოგაშვილის სახლში ელექტრონული ინფორმაციის მატარებლები იყო შეტანილი, რომლის მეშვეობითაც უკანონო ინფორმაციის „ჩადება“ მოხდა. შესაბამისად, ბრალდების მხარე შეეცდება ამ დროში აღნიშნული მტკიცებულებები გაშიფროს და სისხლის სამართლის საქმეზე დაამაგროს, როგორც კანონიერად მოპოვებული მტკიცებულება.

— წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება ხდება ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე, რაც სიახლეს არ წარმოადგენს და პრაქტიკაში ხშირად გვაქვს მსგავსი შემთხვევები. გარდა ამისა, საქმე მოცულობითია და ერთ-ერთ ობიექტურ მიზეზად შეიძლება ესეც ჩაითვალოს, თუმცა იოსებ გოგაშვილი ფიქრობს და გვაქვს კონკრეტული მტკიცებულებებიც, რომელიც დაადასტურებს გოგაშვილის სახლში დიდი რაოდენობით შეტანილ ელექტრონული ინფორმაციის მატარებლებს, რომლის მეშვეობითაც მოხდა უკანონო ინფორმაციის ჩადება იოსებ გოგაშვილის სახლში. ბუნებრივია, ამ ყველაფერს სჭირდება გაშიფვრა, დრო და ბრალდების მხარე შეეცდება აღნიშნული მტკიცებულებები დაამაგროს სისხლის სამართლის საქმეზე და გამოიყენოს, როგორც კანონიერად მოპოვებული მტკიცებულება, რისთვისაც, რა თქმა უნდა, დრო სჭირდება. შესაძლოა, ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ გაგრძელდა წინასასამართლო სხდომის ვადა, – აღნიშნა რამაზ ჩინჩალაძემ.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა იოსებ გოგაშვილი 16 ივლისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.), 157-ე მუხლის მე-4 ნაწილით (პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 236 მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

# გამართლებული პედიატრი ბავშვის დედის წინააღმდეგ სამართლებრივ დავას იწყებს

წლინახევრის ბავშვისთვის არასწორი დიაგნოზის დასმაში ბრალდებული ექიმი კლინიკას და საქმიანობას დაუბრუნდა.

მაია აბულაშვილის თქმით, წლინახევრის ჩვილი არა მის დაუდევრობას, არამედ დედის უყურადღებობას შეეწირა.

დიდ სკანდალში გახვეული პედიატრი ამბობს, რომ სამართლებრივ სარჩელს გარდაცვლილი ჩვილის დედის წინააღმდეგ თავადაც ამზადებს და ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, თუმცა ექიმს მანამდე სააპელაციო სასამართლოსთვის მოუწევს პასუხის გაცემა, სადაც ჩვილის დედა რამდენიმე დღეში შეიტანს სარჩელს.

— სახლში ჰქონდა რემონტი, ზამთარი იყო, ციოდა, დაკეტილი ჰქონდა ფანჯრები, გამათბობელი ჰქონდა ჩართული და კრასკის სუნი იდგა. კი უარყოფს, მარა, რომ მოვიდა ჩიოდა, ცემენტი ხო არ შეჭამა, კრასკა ხო არ დალია, სუნია სახლშიო. აი ამის ფონზე დაემართა ალერგია, გესმით, ანაფილაქსია და გაიგუდა ბავშვი. ექსპერტმა რო გაჭრა ეს ბავშვი, ეს სურათი დახვდა, იმიტომ, რომ ნებისმიერი ჰიპოქსიის ფონზე, ავარიის, ინსულტის და ნებისმიერი გარდაცვალების დროს უჟანგბადობით ხდება ფილტვის ქსოვილის შეშუპება. მშობელმა დაიწყო სამი თვის შემდეგ დავა. რაღაცის ქურდობას დაიბრალებ ადამიანი, მაგრამ 33 წლის სტაჟის ექიმი ბავშვის სიკვდილს ვერ დაიბრალებ, – ამბობს ექიმი.

ასევე, დედის უყურადღებობაზე საუბრობს პედიატრის ადვოკატიც და ამბობს, რომ საქმეში, გარდაცვლილი ჩვილის დედის მხრიდან საკუთარი გულგრილობის ექიმზე გადაბრალებას აქვს ადგილი.

წლინახევრის ბავშვის სიკვდილში ბრალდებული ექიმი სასამართლომ გუშინ გაამართლა.

მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძის განაჩენს დარბაზში დიდი ხმაური მოჰყვა.

# ქართული კლინიკები სუროგაციის საერთაშორისო სკანდალში ეხვევიან




თურქული მედიის ცნობით, სუროგატი დედების საერთაშორისო სკანდალის კვალი კვიპროსთან ერთად საქართველოში მოდის და მასში ქართული კლინიკებიც მონაწილეობდნენ.

თურქეთში დაწყებული გამოძიების თანახმად, დანაშაულებრივი ქსელი უსახლკარო და, რაც მთავარია, არასრულწლოვან გოგონებს სუროგაციაზე ითანხმებდა და ჩვენს ქვეყანაში აგზავნიდა.

საქართველოში არასრულწლოვანი მომავალი სუროგატი დედები საეჭვო სამედიცინო პროცედურების გავლის შემდეგ და გაყალბებული საბუთებით ჩამოდიოდნენ. უკვე აქ კი ხელოვნური განაყოფიერება ხდებოდა და შემდგომი ორსულობაც მიმდინარეობდა.

ვინ იყო ჩართული ამ ქსელში ქართული მხრიდან, დადგენილი არ არის. ქართული საგამოძიებო უწყებები, ინფორმაციის არსებობის მიუხედავად, უმოქმედოდ არიან.

# პროკურატურამ ცეცხლის წაკიდებით საცხოვრებელი სახლების და ხეხილის ბაღების განადგურების ფაქტზე ერთ პირს ბრალი წარუდგინა



საქართველოს პროკურატურამ ქარელის რაიონში ცეცხლის წაკიდებით საცხოვრებელი სახლების, სათავსოების, ხეხილის ბაღების დაზიანების და განადგურების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 28 აგვისტოს, ქარელის რაიონის სოფელ ელბაქიანთკარში, მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ნარჩენების განადგურების მიზნით, საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში ცეცხლი დაანთო.

მიუხედავად იმისა, რომ თანასოფლელებმა ხანძრის გაჩენის გამო მოსალოდნელ მძიმე შედეგებზე გააფრთხილეს და ცეცხლის ჩაქრობა სთხოვეს, ცეცხლი არ ჩააქრო და დასახმარებლად მისული მეზობლები სახლიდან გაყარა. ცეცხლი ფართო ტერიტორიაზე გავრცელდა, რის შედეგადაც დაიწვა სოფელ ელბაქიანთკარში მდებარე 300.000 ლარის ღირებულების ექვსი სახლი, დამხმარე სათავსოები და ხეხილის ბაღები.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილებით (სხვისი ნივთის დაზიანება, განადგურება, ცეცხლის წაკიდებით, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ექვსიდან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ემანუელ მაკრონი: „საფრანგეთი რუსეთთან მოლაპარაკებას გააგრძელებს“



საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის განცხადებით, ის გააგრძელებს რუსეთთან დიალოგს უკრაინის კონფლიქტის ესკალაციის თავიდან არიდებისთვის, მაგრამ ამავდროულად საფრანგეთის მხარდაჭერა კიევისთვის ურყევი იქნება. ამის შესახებ პრეზიდენტმა დიპლომატიური კორპუსის წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ჩვენ უნდა მოვემზადოთ ხანგრძლივი ომისთვის“ – განაცხადა მაკრონმა და დასძინა, რომ საფრანგეთი გააგრძელებს კიევის გრძელვადიან მხარდაჭერას ეკონომიკური, სამხედრო და ჰუმანიტარული კუთხით.

„ევროპის ერთიანობა არის მთავარი გასაღები, რუსეთის ომის ერთ-ერთი მიზანი მისი დაშლაა“ – განაცხადა მაკრონმა.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ მოსკოვთან საუბარი აუცილებელია კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით.

– საფრანგეთი გააგრძელებს რუსეთთან მოლაპარაკებას. ვის უნდა, რომ თურქეთი იყოს ერთადერთი ძალა მსოფლიოში, რომელიც აგრძელებს რუსეთთან მოლაპარაკებას? – დასძინა მაკრონმა.

# უკრაინა მარცვლეულით დატვირთულმა კიდევ ხუთმა გემმა დატოვა

უკრაინის პორტებიდან „მარცვლეულის დერეფნით“ კიდევ ხუთი გემი გავიდა. ინფორმაციას თურქეთის თავდაცვის სამინისტრო „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

„უკრაინიდან დღეს დილით მარცვლეულით დატვირთული კიდევ 5 გემი გაემგზავრა“ – ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნულია, რომ გადაზიდვები გეგმის მიხედვით და სტამბოლის ერთობლივი საკოორდინაციო ცენტრის კონტროლით მიმდინარეობს.

2022 წლის 22 ივლისს სტამბოლში ხელი მოეწერა შეთანხმებას უკრაინის პორტების ოდესის, ჩორნომორსკისა და იუჟნის განბლოკვის შესახებ მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტისთვის. უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა ალექსანდრე კუბრაკოვმა და რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ გაეროსა და თურქეთთან ცალ-ცალკე იდენტური შეთანხმებები გააფორმეს.



# დმიტრო კულება: „ევროკავშირის გადაწყვეტილებით, არგუმენტი, რომ ეს არის პუტინის ომი და ყველა სხვა უდანაშაულოა, წარსულში დარჩა“

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრო კულებამ 31 აგვისტოს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილება რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო პოლიტიკის შეცვლის შესახებ დადებითად შეაფასა. ამის შესახებ კულებამ კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.



მისი თქმით, თუკი ევროკავშირის გადაწყვეტილება კეთილსინდისიერად შესრულდება, ეს ყველაფერი მაქსიმალურად მიუახლოვდება იმას, რაც უკრაინას სურდა. მანვე დასძინა, რომ საუბარია არა მხოლოდ შეთანხმების შეჩერებაზე, არამედ მთელ რიგ სხვა მნიშვნელოვან ნაბიჯებზე.

– თუ გუშინდელი გადაწყვეტილება სათანადოდ და კეთილსინდისიერად განხორციელდება ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ, მაშინ ეს გადაწყვეტილება მაქსიმალურად მიუახლოვდება იმას, რაც უკრაინას სურდა, – განაცხადა მინისტრმა.

კულებას განცხადებით, შეხვედრაზე ასევე მნიშვნელოვანი გარდამტეხი მომენტი მოხდა ევროკავშირის მიერ რუსული აგრესიის აღქმაში.

– ყველაზე მნიშვნელოვანი გარდამტეხი მომენტი, რაც გუშინ მოხდა, არის იმის გააზრება, რომ არგუმენტი, რომ ეს არის პუტინის ომი და ყველა სხვა უდანაშაულოა, წარსულში დარჩა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახლა, რუსეთის აგრესიის აღქმაში ამ ბარიერის გარეშე, ჩვენ ბევრად უფრო ძლიერი გადაწყვეტილებების მიღებას შევძლებთ, – დასძინა კულებამ.

# ბორის ჯონსონი: „ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური უკრაინისაა და მასზე კონტროლი უკრაინელებმა უნდა დაიბრუნონ“



ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგური უკრაინისაა და მასზე კონტროლი უკრაინელებმა უნდა დაიბრუნონ, – ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა განაცხადა.

მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ დაგეგმილი მისიის შესრულება შეძლოს.

– რუსების მიზანია, ელექტროსადგური უკრაინული ქსელიდან გათიშონ და რუსულ ქსელს შეუერთონ. ამ ოთახში ჩემზე ბევრად დიდი ბირთვული ექსპერტები არიან და მეუბნებიან, რომ მსგავსი რამის გაკეთება რისკებს შეიცავს. ჩვენ არ გვინდა რაიმე რისკზე წასვლა ზაპოროჟიესთან დაკავშირებით. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ ბატონ გროსს და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიეცეთ უფლება, შევიდნენ მის ტერიტორიაზე და განახორციელონ ინსპექტირება, მაგრამ ზაპოროჟიე არის უკრაინული ატომური ელექტროსადგური და მასზე კონტროლი უკრაინელებმა უნდა დაიბრუნონ, – აღნიშნა ჯონსონმა.

# „წითელი ჯვარი“: „ზაპოროჟიეს ელექტროსადგურთან ბრძოლა უნდა შეჩერდეს“

„წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ ხელმძღვანელის, რობერტ მარდინის განცხადებით, ზაპოროჟიეს ელექტროსადგურთან ბრძოლა სასწრაფოდ უნდა შეწყდეს.

– ატომური სადგურიდან გაჟონვის შემთხვევაში, ჰუმანიტარული დახმარების გაწევა რთული ან სულაც შეუძლებელი იქნება და სწორედ ამიტომ, ბრძოლა უნდა შეწყდეს. შესაძლოა, მასობრივი კატასტროფის სცენარი მივიღოთ და ასეთ შემთხვევაში, ძალიან მცირე რამის გაკეთება იქნება შესაძლებელი მისი საშინელი შედეგების შესამსუბუქებლად, – აღნიშნა რობერტ მარდინიმ.

ის ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლების ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე დაგეგმილ ვიზიტს მიესალმა და ხაზი გაუსვა, რომ ამ და მსგავსი ობიექტების სამხედრო ოპერაციებისგან დასაცავად შესაბამისი ზომების გატარების დროა.

– ამიტომ, დროა შეწყდეს ცეცხლთან თამაში და გატარდეს კონკრეტული ზომები ამ ობიექტის და მისი მსგავსი ობიექტების სამხედრო ოპერაციებისგან დასაცავად. უმცირესმა არასწორმა გაანგარიშებამ შეიძლება გამოიწვიოს განადგურება, რომელსაც ჩვენ ათწლეულების განმავლობაში ვინანებთ, – აღნიშნა „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ ხელმძღვანელმა.

## კალეიდოსკოპი

# თაფლობის თვეში მეძავთან ვიზიტი მამაკაცს პატიმრობად დაუჯდა



აშშ-ში მამაკაცმა ციხეში მას შემდეგ ამოყო თავი, როდესაც თაფლობის თვეში, იმ დროს, როდესაც მის მეუღლეს სასტუმროში ეძინა, დროის სატარებლად მეძავთან წავიდა.

აღნიშნული ინციდენტის თაობაზე ფლორიდის შტატის ჰილსბოროს ოლქის შერიფმა ჩად ჰრონისტერმა ისაუბრა. პოლიციელის თქმით, 34 წლის პოლ ტუროვსკიმ 15 ივლისს იქორწინა და ახლადშერთულ მეუღლესთან ერთად თაფლობის თვის გასატარებლად ქალაქ ტამპაში ჩავიდა. ჩასვლის დღეს, როდესაც ქალმა დაიძინა, მამაკაცი მეძავის განცხადებას გამოეხმაურა და მის სასტუმროში მივიდა. ადგილზე ტუროვსკიმ შეიტყო, რომ სინამდვილეში განცხადება პოლიციის აგენტმა განათავსა. მამაკაცი ადგილზევე დაუყოვნებლივ იქნა დაპატიმრებული.

შერიფმა აღნიშნა, რომ სამართალდამცავები მიმდინარე წლის აპრილიდან ატარებენ ღონისძიებას, რომლის მიზანიც იმ ადამიანების გამოვლენა და დაპატიმრებაა, რომლებიც უკანონოდ ცდილობენ მეძავთა მომსახურებით სარგებლობას, რომელთა ნაწილი არასრულწლოვანია. ამ დროის განმავლობაში სამართალდამცავებმა 176 ადამიანი დააკავეს.

# მამაკაცს თოჯინა შეუყვარდა და მასზე დაქორწინება გადაწყვიტა



სოციალური ქსელის ტიკტოკის ლათინოამერიკელმა მომხმარებელმა მისი ნაჭრის თოჯინის მიმართ დამოკიდებულებასა და მასზე დაქორწინების სურვილზე ისაუბრა.

მამაკაცის თქმით, მას თოჯინა, სახელად ნატალია, დაახლოებით ერთი წლის წინ შეუყვარდა, ის ირწმუნება, რომ მისი წყალობით თავს მარტოხელად აღარ გრძნობს, რომლის გამოც ის ადრე იტანჯებოდა.

სოციალურ ქსელ ტიკტოკში მამაკაცი აქვეყნებს ვიდეოს თავის შეყვარებულთან, რომელიც უკვე გააცნო თავისი ოჯახის წევრებს. თოჯინას სასიძო აქვეყნებს ვიდეოებს, რომლებზეც ასახულია, თუ როგორ დადის ის ნატალისთან ერთად მაღაზიებში საყიდლებზე და მასთან ერთად სეირნობს ქუჩებში. მამაკაცმა ნატალიასთან ერთად ასევე გაიჩინა რამდენიმე ნაჭრის ბავშვი და აქვეყნებს მათ ვიდეოებს, როდესაც ისინი მეცადინეობით ან ტელევიზორის ყურებით არიან დაკავებულები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შედეგები

31 აგვისტო
ფეხბურთი

## ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ასტონ ვილა ... 2:1
ბორნმუთი-ვულვზი ... 0:0
სიტი-ნოტინგემი ... 6:0
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი ... 1:1
ლივერპული-ნიუკასლი ... 2:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-4 | 15 |
| 2.სიტი | 5 | 4 | 1 | 0 | 19-5 | 13 |
| 3.ტოტენჰემი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-4 | 11 |
| 4.ბრაიტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 5.ლივერპული | 5 | 2 | 2 | 1 | 15-6 | 8 |
| 6.ლიდსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-5 | 8 |
| 7.ფულემი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 8.საუთჰემპტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 9.ჩელსი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 10.ბრენტფორდი | 5 | 1 | 3 | 1 | 10-7 | 6 |
| 11.ნიუკასლი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-6 | 6 |
| 12.მანჩესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| 13.კრ.პალასი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 14.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 15.ნოტინგემი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-11 | 4 |
| 16.ბორნმუთი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-16 | 4 |
| 17.ევერტონი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |
| 18.ვულვზი | 5 | 0 | 3 | 2 | 2-4 | 3 |
| 19.ასტონ ვილა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |
| 20.ლესტერი | 4 | 0 | 1 | 3 | 6-10 | 1 |

## ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრისტოლი-ჰადერსფილდი ... 2:0
ქოვენთრი-პრესტონი ... 0:1
სანდერლენდი-როტერჰემი ... 3:0
სტოკი-სუონსი ... 1:1
ბლექპული-ბლექბერნი ... 0:1

## იტალია. სერია ა

სამპდორია-ლაციო ... 1:1
უდინეზე-ფიორენტინა ... 1:0
ემპოლი-ვერონა ... 1:1
ნაპოლი-ლეჩე ... 1:1
იუვენტუსი-სპეცია ... 2:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 2.ინტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-5 | 9 |
| 3.მილანი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 4.ნაპოლი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-3 | 8 |
| 5.იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| 6.ლაციო | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 7.ატალანტა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 8.ტორინო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 9.უდინეზე | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| 10.ფიორენტინა | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 5 |
| 11.სასუოლო | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 12.სალერნიტანა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-1 | 4 |
| 13.სპეცია | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 14.ემპოლი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 15.ვერონა | 4 | 0 | 2 | 2 | 4-8 | 2 |
| 16.ლეჩე | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |
| 17.სამპდორია | 4 | 0 | 2 | 2 | 1-7 | 2 |
| 18.ბოლონია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 19.კრემონეზე | 4 | 0 | 0 | 4 | 4-9 | 0 |
| 20.მონცა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-11 | 0 |

## საფრანგეთი. ლიგა 1

ანჟე-რეიმსი ... 2:4
ლიონი-ოსერი ... 2:1
მონაკო-ტრუა ... 2:4
მონპელიე-აიაჩო ... 2:0
სტრასბური-ნანტი ... 1:1
ლანსი-ლორიანი ... 5:2
ლილი-ნიცა ... 1:2
მარსელი-კლერმონი ... 1:0
რენი-ბრესტი ... 3:1
ტულუზა-პსჟ ... 0:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 4 | 1 | 0 | 21-4 | 13 |
| 2.ლანსი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-6 | 13 |
| 3.მარსელი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| 4.ლიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 5.მონპელიე | 5 | 3 | 0 | 2 | 15-9 | 9 |
| 6.რენი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 7.ლორიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-8 | 7 |
| 8.ლილი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-12 | 7 |
| 9.ოსერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| 10.ნანტი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| 11.ტრუა | 5 | 2 | 0 | 3 | 10-13 | 6 |
| 12.კლერმონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-10 | 6 |
| 13.ტულუზა | 5 | 1 | 2 | 2 | 7-9 | 5 |
| 14.რეიმსი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-12 | 5 |
| 15.ნიცა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 16.მონაკო | 5 | 1 | 2 | 2 | 7-11 | 5 |
| 17.ბრესტი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-15 | 4 |
| 18.სტრასბური | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |
| 19.ანჟე | 5 | 0 | 2 | 3 | 6-12 | 2 |
| 20.აიაჩო | 5 | 0 | 1 | 4 | 3-9 | 1 |

## ნიდერლანდები. ეკრედივიზიონი

პსვ-ვოლენდამი ... 7:1
ტვენტე-ექსელსიორი ... 4:0

## ბელგია. ა დივიზიონი

ანტვერპენი-სენ ჟილუა ... 4:2
ბანიკი-ბრნო ... 1:2
პლზენი-სლოვაცკო ... 3:0
ბოლესლავი-ჰრადეც კრალოვე ... 1:2
სიგმა-ლიბერეცი ... 1:1
სლავია-ტეპლიცე ... 6:0

## პოლონეთი. ექსტრაკლასა

ჩენსტოხოვა-პოგონი ... 1:0
ლეხია-ლეხი ... 0:3

ლეხის პირველი გოლი ნიკა კვეკვესკირმა გაიტანა

პაკში-კიშვარდა ... 1:3
ფეჰერვარი-კეჩკემეტი ... 2:1
ვაშაში-ფერენცვაროში ... 0:1

## ნორვეგია. ელიტსერია

კრისტიანსუნი-ვიკინგი ... 2:1
ტრომსო-სტრომსგოდსეტი ... 1:0

ჩოგბურთი

## ამერიკის ღია პირველობა

### კაცები

ბორგიში-ვუ ... 7:6,6:7,6:4,4:6,4:6
ხაჩანოვი-მონტეირო ... 6:3,6:3,5:7,6:4
დრაპერი-ოჟე ალიასიმი ... 6:4,6:4,6:4
მედვედევი-რინდერკნეში .. 6:2,7:5,6:3

### ქალები

კალიანსკაია-გარსია ... 3:6,1:6
როდინა-ტომლიანოვიჩი ... 6:1,2:6,5:7
უილიამსი-კონტევეიტი ... 7:6,2:6,6:2
კრუნიჩი-კრეიჩიკოვა ... 2:6,6:4,6:2
ფერნანდესი-სამსონოვა ... 3:6,6:7
ჰადად მაია-ანდრეესკუ ... 2:6,4:6

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# დილამ შეწყვიტა, საბურთალომ გააგრძელა

**დილა-საბურთალო 3:0**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**
**1:0 სანტოსი (5), 2:0 ჩიტეიშვილი (53), 3:0 კაპანაძე (72)**

**დილა:** კანევცევი, ჩიტეიშვილი (გაფრინდაშვილი 76), ჭიჭინაძე, სანტოსი, მოსიაშვილი (ძოწენიძე 82), კაპანაძე, გეილი, ნონდი, გომისი (დრამე 72), ბატიუშინი (ვიქტორი 63), სილვა.

**საბურთალო:** ქურდაძე, გოჩოლეიშვილი, ჩადუნელი, ჯინჯოლავა, მამაცაშვილი, შ. ნონიკაშვილი (გეგუჩაძე 78), ლ. ნონიკაშვილი, ქარდავა (ო. მამაგეიშვილი 64), გულიაშვილი (გ. მამაგეიშვილი 64), ტაბატაძე (ვინისიუსი 78), გოშთელიანი



აქამდე ორივე გუნდს ცუდი სერია ჰქონდა – დილას ზედიზედ 4 მარცხი მოგროვებოდა, ხოლო საბურთალოს ერთით ნაკლები. დილამ 3 უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს და ეს ცუდი სერია შეწყვიტა.

პირველ ტაიმში ალეფ სანტოსმა შორიდან დარტყმით გაიტანა, ხოლო მეორე ტაიმში რევაზ ჩიტეიშვილმა და თორნიკე კაპანაძემ სოლიდური უპირატესობა მისცეს დილას.

დილა მე-4 ადგილზე დარჩა, ხოლო საბურთალოს კარგი დროება ნამდვილად არ უდგას და ასე თუ გააგრძელა, სახიფათო ზონაშიც აღმოჩნდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 23 | 16 | 6 | 1 | 60-17 | 54 |
| 2.დინამო (თბ) | 23 | 14 | 5 | 4 | 47-22 | 47 |
| 3.სამგურალი | 23 | 10 | 9 | 4 | 36-22 | 39 |
| 4.დილა | 24 | 11 | 4 | 9 | 28-24 | 37 |
| 5.ტორპედო | 23 | 9 | 4 | 10 | 29-38 | 31 |
| 6.საბურთალო | 24 | 8 | 6 | 10 | 32-34 | 30 |
| 7.თელავი | 23 | 6 | 10 | 7 | 24-20 | 28 |
| 8.სიონი | 23 | 6 | 7 | 10 | 25-40 | 25 |
| 9.გაგრა | 23 | 6 | 6 | 11 | 27-41 | 24 |
| 10.ლოკომოტივი | 23 | 1 | 1 | 21 | 18-68 | 4 |

# სარაგბო სეზონი ახალი რეგლამენტით იწყება



დღეს დიდი 10-ის 2022-23 წლების სეზონი იწყება და „ხვამლი არენაზე" დებიუტანტისა და ჩემპიონის მატჩით გაიხსნება – ხვამლი ბათუმს უმასპინძლებს.

რაგბის კავშირის გამგეობის გადაწყვეტილებით, 2023-24 წლების სეზონში დიდი 10-ის მონაწილეთა რაოდენობა 8 გუნდამდე შემცირდება, რისი მიზანიც შიდა ჩემპიონატის დონის ამაღლებაა.

შედეგად, წლევანდელი ჩემპიონატი 2 ეტაპად გაიმართება. პირველი ეტაპი, რეგულარული გათამაშება 2 წრედ, მიმოსვლით (18 ტურად) ჩატარდება. რეგულარული გათამაშების დასრულების შემდეგ, 6 მოწინავე გადის საჩემპიონო ფლეი ოფში, რომელიც გასული ჩემპიონატის მსგავსად, 4 ტურად ჩატარდება.

პირველ ტურში (მესამედფინალი) მესამეადგილოსანი მეექვსეს, ხოლო მეოთხეადგილოსანი მეხუთეს მასპინძლობს და გამარჯვებულები გადიან მეორე ეტაპზე, დამარცხებულები კი, ჩემპიონატს ემშვიდობებიან. პირველ ტურში 2 მოწინავე გუნდი ისვენებს.

ფლე ოფის მე-2 ტურში, შესარჩევ ფინალში, რეგულარული გათამაშების პირველადგილოსანი მეორეადგილოსანს მასპინძლობს და გამარჯვებული დიდ ფინალში გადის (და ისვენებს მესამე ტურში), წაგებული კი, წინასწარ ფინალში ითამაშებს. ამავე ტურში (გასავარდნ ფინალში) მესამედფინალის გამარჯვებულები ერთმანეთს უკეთესი ნომრის მქონე გუნდის მოედანზე შეხვდებიან და მოგებული წინასწარ ფინალში გადის, წაგებული კი, ჩემპიონატს ემშვიდობება.

მე-3 ტურში, შესარჩევ ფინალში წაგებული გუნდი გასავარდნ ფინალში მოგებულს მასპინძლობს და გამარჯვებული ფინალის საგზურს იღებს, ხოლო დამარცხებული ჩემპიონატს მე-3 ადგილზე ასრულებს. დიდი ფინალი რაგბის კავშირის მიერ წინასწარ შერჩეულ სტადიონზე გაიმართება.

რაც შეეხება დაქვეითებას, დიდ 10-ს პირდაპირ ტოვებენ რეგულარულ გათამაშებაში 9-10 ადგილზე გასული გუნდები. 2023-24 წლების დიდი 10-ის საგზურისთვის, მე-8 ადგილოსანი პირველი ლიგის გამარჯვებულს, ხოლო მე-7 ადგილოსანი პირველი ლიგის მეორეადგილოსანს ეთამაშება. თამაშები ერთრაუნდიანია და პირველ ლიგელთა მოედანზე გაიმართება.

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# გიორგი ჩაკვეტაძე: „ქართულ გუნდთან თამაში უცნაური იყო"

**საქართველოს ნაკრებისა და ბრატისლავის სლოვანის ნახევარმცველის გიორგი ჩაკვეტაძის ინტერვიუ სლოვაკურ მედიაში გამოქვეყნდა. 22 წლის ქართველმა ფეხბურთელმა იქაურ ფეხბურთთან ადაპტაციაზე ისაუბრა.**



***– როგორია თქვენი შეგრძნებები და შთაბეჭდილებები ბრატისლავაში?***

– ყველაფერი კარგადაა, ახალ გარემოს შევეჩვიე. ხალხი ძალიან კარგია, ვარჯიშები კარგია, გუნდში ბიჭებმა კარგად მიმიღეს. ბრატისლავაც ძალიან ლამაზია.

***– ერთი წლით გახდით ყველაზე ცნობილი სლოვაკური კლუბის ფეხბურთელი. რას ნიშნავს ეს თქვენთვის?***

– მთლად უცნობ გუნდში არ მივსულვარ, რადგან აქ გურამ კაშია და ჯაბა კანკავა თამაშობენ. მწვრთნელ ვაისსაც ვიცნობ. ვფიქრობ, რომ სხვა ბიჭებთან ერთად, ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ რაღაც კარგს.

***– თქვენს გადაწყვეტილებაში სლოვანში მოთამაშე თანამემამულეებმა დიდი როლი ითამაშეს?***

– დიახ და ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. სლოვანი ორივემ შესანიშნავად დამიხასიათა.

***– თქვენ სხვადასხვა საფეხბურთო თაობიდან ხართ. ისინი 30 წელს გადაცილებული არიან, გამოცდილნი, თქვენ მხოლოდ 22 წლის ხართ, მაინც კარგად უგებთ ერთმანეთის?***

– დიახ, ჩვენ სხვადასხვა თაობა ვართ, მაგრამ ეს ფეხბურთში ბევრს არაფერს ნიშნავს. ქართველები ვართ და ერთმანეთის გვესმის. ორივე კარგი ფეხბურთელი და პროფესიონალია. ასე ვიტყვი, საერთო ენის გამონახვა და დამეგობრება არ არის რთული.

***– ახლა თამაშობთ თანამემამულეებთან ერთად, ყველას კი, სეზონის სტარტზე ქართულ გუნდთან მოგიწიათ თამაში. თქვენთვის უცნაური იყო მოედანზე იმ ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაში, რომლებთანაც ერთად საქართველოს ნაკრების მაისურით თამაშობ?***

– ცოტა უცნაური კი იყო, როცა სხვადასხვა მაისურით ვთამაშობდით და არა ნაკრებში გვერდიგვერდ. თუმცა, მოედანზე ამაზე არ ვფიქრობთ, პირველ რიგში, შენს თამაშზე ხარ კონცენტრირებული. ასე იქნება ბათუმშიც.

***– რას ნიშნავს თქვენთვის მწვრთნელი, ვლადიმერ ვაისი? ისიც იყო გარდამტეხი იმაში, რომ სლოვანის შეთავაზებას დათანხმდით? მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თქვენს კარიერაში, რადგან პირველი იყო, ვინც მოგცათ შანსი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ამისთვის მისი მადლიერი იქნებით?***

– რა თქმა უნდა, ყოველთვის მადლობელი ვიქნები. ვიცი, რას მოითხოვს ფეხბურთელებისგან და როგორი ფეხბურთის მიმდევარია, ისევე, როგორც მე მიცნობს. რა თქმა უნდა, არ დამავიწყდება, რომ მან პირველმა მომცა შანსი ნაკრებში, სადაც ერთად წარმატებას მივაღწიეთ.

***– ზაფხულში გენტში დარჩენას, შემადგენლობაში ადგილისთვის მოსაპოვებლად ბრძოლაზე ხომ არ ფიქრობდი? ან იყო სლოვანი თქვენი პირველი არჩევანი?***

– დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ ვაისს გუნდში ჩემი ყოფნა უნდოდა. ზოგადად, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ფეხბურთის თამაში და სიამოვნების მიღება.

***– სერიოზული ტრავმა გქონდათ. რთული იყო ამ ყველაფრის დაძლევა, ხანგრძლივი იძულებითი შესვენება?***

– არ გამიმართლა და ტრავმები მივიღე. ახლა ფორმაში ვარ. კარგად ვარ და არ მინდა ამ თემაზე დაბრუნება. მხოლოდ წინ ვიყურები.

***– როცა 2017 წელს გენტში წახვედით, სხვა კლუბებიც გაკვირდებოდნენ, როგორიცაა ლივერპული და ლევერკუზენი. ხანდახან გაინტერესებთ, სად შეიძლებოდა ყოფილიყავით, სერიოზული ტრავმა რომ არ მიგეღოთ?***

– არ მინდა ამ კლუბების დასახელება, მაგრამ მართალია, რამდენიმე ქვეყნიდან იყო დაინტერესება. მათი ყურადღების მიქცევა 2017 წლის 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე მოვახერხე. მაგრამ ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატამდე მქონდა კონტრაქტი გენტთან გაფორმებული.

***– რის მიღწევას ისურვებდით სლოვანის მაისურით ამ სეზონში?***

– ჩვენ შეგვიძლია შორს ვიყუროთ.

# საქართველომ წააგო და შანსი დაიტოვა




ხორვატიაში მიმდინარე წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მე-2 მარცხი განიცადა.

ა ჯგუფის მე-2 ტურის მატჩში დეიან სტანოიევიჩის გუნდი ჯგუფის ფავორიტთან, იტალიასთან 8:18 დამარცხდა. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან იტალიის ნაკრები მსოფლიოს 4-გზის, ხოლო ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის 3-3-გზის ჩემპიონია. თუმცა, სხვაობა სოლიდურია.

მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა: პირველი მეოთხედი იტლიამ 4:1 მოიგო, ტაიმი კი -9:3 დასრულდა.

ყველაზე უხვგოლიანი მესამე მეოთხედი გამოდგა – 10 გოლი გავიდა. საქართველომ ბევრი (4) გაიტანა, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი (6) გაუშვა. იტალიელებმა ბოლო მეოთხედიც მოიგეს და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს.

2-2 გოლი ბორის ვაპენსკის და იოან სარიჩის ანგარიშზეა, თითო ნიკა შუშიაშვილმა, მარკო ელაჩამ, ანდრია ბითაძემ და დუშან ვაშიჩმა გაიტანეს.

სადღეისოდ, იტალიისა და ჩერნოგორიის ნაკრებებს 6-6 ქულა და ფლეი ოფში გასვლა განაღდებული აქვთ. თუმცა, ბოლო ტურში ერთმანეთს ეთამაშებიან და გაარკვევენ, ვინ გავა პირველი ადგილით, რათა ერთი წრე დაისვენოს.

ერთმანეთში ითამაშებენ უქულო საქართველო და სლოვაკეთი. სწორედ ეს გუნდები გამოავლენენ ფლეი ოფში გამსვლელ მე-3 გუნდს. საქართველოს ნაკრებს ფრეც აძლევს ხელს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროტექნიკური ხელსაწყო; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან; 5. მღრღნელი ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 8. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 11. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი; 14. ცხოველის გარეგნული შეხედულება, აგებულება; 15. ქართველი მგოსანი; 16. ქართული გაზეთი; 17. თავისავე ქონში ჩახრაკული ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ველორიქშა ინდოეთში; 22. ცხოველთა სამყარო.

**თარაზულად:** 1. ოდისევსის მეუღლე, ცოლ-ქმრული ერთგულების სიმბოლო; 5. სოფელი ხევსურეთში; 7. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 9. საგნის სახეცვლილება; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. მიწის თხილი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. არომატული, უალკოჰოლო, მატონიზირებელი სასმელი; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 20. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კომბინაცია პიკერში; 23. შრილანკას დედაქალაქი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ბაღჩეული ხილი.

*შეადგინა თ.გოგოინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მარტელი; 2. კობახიძე; 3. იამაჰა; 4. აიეტი; 5. დეპუტატი; 8. კოტირება; 12. ჯოჯო; 13. პრეტორია; 14. ორშიმო; 16. ხიმინჯი; 18. გორდი; 20. საკე.

**თარაზულად:** 6. კარავაჯო; 7. ახალციხე; 8. კაკაჩი; 9. კენზო; 10. ციციპასი; 11. ფარჯიანი; 15. კრომბახერი; 17. ჩოჩორი; 19. მერსედესი; 21. დროზერა; 22. ბაქტრიონი; 23. ლეკლერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ვაუჩერი; 3. ავტობანი; 4. ინტელექტი; 5. ჭერხო; 6. ამლახუ; 8. ქვევრი; 11. ნოვაცია; 14. ობსკურანტი; 15. გაგრიფში; 16. ესკადრონი; 17. დარიკო; 19. როლექსი; 21. პეპსი; 22. სანტი.

**თარაზულად:** 1. ავლაბარი; 5. ჭონა; 7. წიქარა; 9. კულტივატორი; 10. ლენტეხი; 12. ჩხავერი; 13. სექტორი; 16. ეპიგრაფი; 17. დუყი; 18. არიბა; 20. შტურმანი; 22. სუფსა; 23. ჰერაკლე; 24. ოხუნჯი; 25. სენტო.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


2 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9002

ევრო — 2.8935

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3697

100 რუსული რუბლი — 4.7912

## ამინდის პროგნოზი 2 სექტემბრისთვის




## სპალეტი: „ლეჩესთან კარგად არ გვითამაშია“



ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ ლეჩესთან ფრედ ნათამაშები შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა კარგად ვერ ითამაშა და მათ შეტევაში კრეატიულობა აკლდათ: „სამწუხაროდ, ლეჩესთან საუკეთესო თვისებები ვერ ვაჩვენეთ და მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ წინ უნდა ვიყუროთ. დაშვებულ შეცდომებზე ანალიზს გავაკეთებთ“. კვარაცხელია თამაშში მე-60 წუთზე ჩაერთო და ის აქტიური იყო, მაგრამ ლეჩეს მცველებმა მას ბევრი არაფრის გაკეთების საშუალება არ მისცეს.

## ხავი: „ბარსელონაში შანსი ყველას მიეცემა“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა იმ ფეხბურთელებზე ისაუბრა, რომლებიც ძირითადად სათადარიგოთა სკამზე სხედან და თქვა, რომ შანსი ყველას მიეცემა და ამ შანსს გამოყენება სჭირდება: „არავინ იფიქროს, რომ მათ ძირითადში გარანტირებული აქვთ ადგილი, ან ის, რომ შანსი არ მიეცემათ. ყველას ვაკვირდები და ჩემი ფეხბურთელების შესაძლებლობები კარგად ვიცი“.

## კრიშტიანო რონალდუ შესაძლოა მანჩესტერში დარჩეს

კრიშტიანო რონალდუ შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედში დარჩეს, რადგან სატრანსფერო ფანჯარა დასასრულს უახლოვდება, ხოლო მას კი ჯერ ახალი გუნდი არ აურჩევია და თვითონ პორტუგალიელმაც განაცხადა, რომ ის მთლიანად მანჩესტერ იუნაიტედზეა კონცენტრირებული.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გუშინ პარკში ულამაზესი გოგონა შემხვდა, რომელიც ძაღლს ასეირნებდა...

– მერე?

– მივედი და დასაწყისისთვის ვეუბნები: „საოცარი ძაღლი გყავთ! მრავალი წელია ასეთის ყოლაზე ვოცნებობ!“

– და იმან რა გიპასუხა?

– ძაღლი დამიტოვა და წავიდა!

●●●

ქმარი სახლში მთვრალი დაბრუნდა. ცოლი ეკითხება:

– დალიე?

– არ დამილევია.

– აღიარე, რომ დალიე!

– არ დამილევია.

– კი მაგრამ, ფეხზე ძლივს დგეხარ. კიდევ გეკითხები, დალიე?

– არა.

– კარგი, მაშინ თქვი „გიბრალტარი“...

– დავლიე.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– თუ ისევ მაწყენინებ, დავიწყებ კურსებზე სიარულს „როგორ გავხდეთ ალქაჯი“.

– მასწავლებლად?

●●●

სასტუმროს ადმინისტრატორი მამაკაცს ეუბნება:

– თუ თქვენ ვერ დამიმტკიცებთ, რომ ეს ქალი თქვენი ცოლია, მაშინ ნომერში ერთად ვერ შეგასახლებთ.

– და თუ თქვენ შეძლებთ იმის დამტკიცებას, რომ ის ჩემი ცოლი არ არის, სიცოცხლის ბოლომდე თქვენი მადლიერი ვიქნები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ია ფარულავას კონვერტი“ ბრუნდება



მსახიობი ია ფარულავა ახალ სატელევიზიო სეზონს ტელეკომპანია „ფორმულაზე“ გახსნის.

„ია ფარულავას კონვერტი“ მე-2 სეზონით ბრუნდება. მეორე სეზონის პირველი გადაცემა ეთერში 5 სექტემბერს გავა.

მისი სტუმარი კულინარიული შოუს „სამზარეულოს ომების“ ჟიურის ყველაზე „ტკვარცალა“ წევრი – ირაკლი ასათიანი იქნება. იგი „ფარულ კონვერტში“ თავის წარსულზე ისაუბრებს, რომელსაც მხოლოდ იასთან მოყვება.

## თეა წულუკიანმა სასამართლო დავა წააგო



კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა სასამართლო დავა წააგო.

ინფორმაცია ადვოკატმა ვახტანგ ბარამაშვილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა, სადაც გამოაქვეყნა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების თანახმად, მოსამართლემ ბაია ოტიაშვილმა გააუქმა კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის 2021 წლის 1 ივლისის ბრძანება, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. სასამართლომ კულტურის სამინისტროს თანამშრომლის სამსახურში აღდგენა დაავალა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, კულტურის სამინისტრო ვალდებულია, აღდგენილ თანამშრომელს გათავისუფლებიდან – 2021 წლის 1 ივლისიდან – გადაწყვეტილების აღსრულებამდე, იძულებითი ყოველთვიური განაცდური შრომითი გასამრჯელო აუნაზღაუროს.

– საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წინააღმდეგ ერთ-ერთი შრომითი დავა წარმატებით დავასრულეთ საქალაქოში. მოსამართლე ბაია ოტიაშვილმა სრულად გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია და ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა, – განაცხადა ადვოკატმა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე უკანონოდ მიიჩნია ეროვნული მუზეუმიდან თანამშრომლის, დინარა ვაჩნაძის გათავისუფლება. ვაჩნაძე, რომლის სასამართლო გადაწყვეტილებაც 8 აგვისტოს გამოცხადდა, ერთ-ერთია იმ 70-მდე პირიდან, რომლებიც თეა წულუკიანის კულტურის მინისტრად დანიშვნის შემდეგ, სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებებიდან გაათავისუფლეს.

## ვანო ჯავახიშვილი „ტვ პირველზე“ გადავიდა




იუმორისტი ვანო ჯავახიშვილი და მისი გუნდი „ტვ პირველის“ გუნდს შეუერთდნენ.

ინფორმაცია ამის შესახებ სოციალურ ქსელში გადაცემა „ვანოს შოუს“ ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– „მთავარ არხზე“ ფინანსური კრიზისის გამო დაიხურა ჩვენი ყველა გადაცემა და გვქონდა იძულებითი პაუზა. ახალი სეზონიდან შევხვდებით ტელეკომპანია პირველის ეთერში. ველოდებით ჩვენს ერთგულ მაყურებელს „ტვ პირველის“ ეთერში, იგივე დღეს და იგივე დროს.

## გიორგი ნაზღაიძე „ღამის პრაიმ თაიმის“ წამყვანი იქნება



მოდელი და ტელეწამყვანი გიორგი ნაზღაიძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მაყურებელს ახალი სატელევიზიო სეზონიდან ახალი გადაცემის წამყვანის ამპლუაში მოევლინება. გიორგი გადაცემა „ღამის პრაიმ თაიმის“ წამყვანი იქნება.

მომღერალმა ზურა ხაჩიძემ სატელევიზიო სეზონის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ „ღამის პრაიმ თაიმს“ აღარ წაიყვანდა. მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო დიზაინერმა ავთანდილ ცქვიტინიძემაც.

13 სექტემბრიდან „ღამის პრაიმ-თაიმი“ ახალ სეზონს დაიწყებს. გადაცემის წამყვანების ფოტოსესიიდან ცნობილი ხდება, რომ მომღერალი ზურა ხაჩიძე და დიზაინერი ავთო ცქვიტინიძე პროექტს დაემშვიდობნენ.

ახალი სეზონიდან გადაცემას ნიკა ხაჩიძე, ნინო ჩხეიძე, ანა ჩირაძე და გიორგი ნაზღაიძე გაუძღვებიან.

## „ბამბის აღმართი“ – ახალი ქართული სერიალი იწყება

რეჟისორმა კახაბერ შარტავამ სერიალების მოყვარულებს ახალი პროექტი მოუმზადა. „ბამბის აღმართი“ – ასე ეწოდება სერიალს, რომელიც მალე „რუსთავი 2“-ის ეთერში გავა.

„ბამბის აღმართი“ სოციალური დრამის სერიალია, კომედიური ელემენტებით.

სცენარის ავტორი – ევა ვაისი – ქართველია და ქმნის ჩვენი საზოგადოებისთვის ავთენტურ, ნაცნობ სამყაროს – ნაცნობი პრობლემებით, ღირებულებებით, შეხედულებებით, სევდითა და სიხარულით.

სერიალს ე.წ. მთავარი გმირები არ ჰყავს, მასში რამდენიმე მთავარი ხაზი ვითარდება, სხვადასხვა ტიპის პერსონაჟებით და ისტორიებით. ოჯახები, სამეგობროები, კორპორაციული წრეები – ეს ის არეალია, სადაც ბევრი ამბავი ტრიალებს, იქმნება კონფლიქტები, იბადება სიყვარულის ისტორიები, იხლართება ინტრიგები...

სერიალი ჩვენს საზოგადოებაში არსებულ მწვავე პრობლემებსაც ეხმაურება. მაგალითად, ლუდომანიას – თამაშდამოკიდებულებას. ორი ახალგაზრდა გოგონა, რომელთა მშობლები საზღვარგარეთ მათ სარჩენად არიან წასული, მარტო ცხოვრობს, მათგან ერთ-ერთი თამაშის ვნებითაა შეპყრობილი. ამ შავბნელ ისტორიაში კი, ნებით და უნებლიეთ, სხვა ადამიანებსაც ითრევს...

სერიალი ახალგაზრდების მიერ თავის დამკვიდრებისთვის ბრძოლაზეც გვიყვება – რა გზების გადალახვა უწევთ მათ, რომ პროფესიულ წარმატებას მიაღწიონ, შეამჩნიონ, დააფასონ. ამ გზის სირთულე, ზოგჯერ გადაულახავი წინააღმდეგობები, ინტრიგები, მარცხი და გამარჯვებები სხვადასხვა პერსონაჟის ისტორიებით, მსუბუქად, იუმორით, თუმცა დამაჯერებელი სიმართლითაა ნაჩვენები.




სოციალურ ფენებს შორის კონტრასტი, ე.წ. ლაქშერი-ცხოვრება უკიდურეს სიღარიბესთან მიმართებაში ტრაგიკომიკურ ეპიზოდებში ვლინდება. თუმცა, რაც ამ ფენებს აერთიანებს, ესაა ზოგადადამიანური მდგომარეობები და ცნებები – სევდა, სიხარული, ტკივილები, მარტოობა და ა.შ.

„ბამბის აღმართში“ სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანების თავგადასავლებია გაერთიანებული: იურისტების, მომავალი პლასტიკური ქირურგების, მხატვრების...

სერიალის სათაურიც იმ გზის სიმბოლოა, რომელსაც ყველა პერსონაჟი საკუთარი ცხოვრების, თვითშემეცნების, თავის დამკვიდრების კვალდაკვალ გადის – ბამბის აღმართი, მიუხედავად იმისა, რომ სიმსუბუქის ასოციაციას ტოვებს, რეალურად ურთულესი გასავლელია.

სწორედ ამ გზაზე წერს რომანს სერიალის ერთ-ერთი გმირი ქალი, ამავე სათაურით – „ბამბის აღმართი“. თუმცა, ამ ამბავს ის ჯერჯერობით ყველას უმალავს. რატომ? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, საჭიროა, სერიალს უყუროთ.

ახალ ქართულ სერიალში მთავარ როლებს თათული ედიშერაშვილი, სლავა ნათენაძე, ლილი ხურითი და სხვა ცნობილი მსახიობები ასრულებენ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 2 სექტემბრისთვის



**ვერძი** – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კურო** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანკალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 2. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 3. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკეებში; 4. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 5. კართაგენელი მხედართმთავარი; 8. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 12. კოვბოების მიერ ცხოველთა დასაჭერი, სასროლი ქამანდი; 13. ენის ბგერითი შედგენილობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 14. დოსტოევსკის რომანი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 18. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 20. ბებერი თხა.

**თარაზულად:** 6. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 7. ბალერინის ძირითადი, კლასიკური პოზა; 8. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 9. მდინარე გურიაში; 10. მეცნიერების, ხელოვნების მდიდარი მფარველი; 11. ყველაზე მსუბუქი ქიმიური ელემენტი; 15. ამერიკელი ილუზიონისტი; 17. მეცნიერების, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 19. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 21. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 22. ხილის წვენების, ლიმონათის გაჯერება ნახშირმჟავა აირით; 23. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

